დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა ხმელიძე

წევრები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი-ფიქრია მახარაშვილი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი-მალხაზ შატბერაშვილი
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი - ნინო ფორჩხიძე
უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი -ნინო მოლაშხია
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი -თეონა ჯაფარიძე
ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი - ნონა გამხიტაშვილი
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი - ირინე ჯანაშია
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი - მაია ჩაჩხიანი
სპორტის საგნობრივი ექსპერტი - გიორგი კოპლატაძე
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი - ნათია კურტანიძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239404051

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი პერევი
ფაქტობრივი მისამართი	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი პერევი
საფოსტო ინდექსი	**4000**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/4qghZRR
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	perevi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591052251

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის **MES 7 26 0000336552** ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 16 და 17 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი პერევი, ერთი შენობა; საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი ჯრია, ერთი შენობა.
	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი პერევი, ერთი შენობა;
	საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი პერევი, ერთი შენობა;

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2026 წლის 16-17 აპრილს განხორციელდა. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია. ერთობლივი შეთანხმებით შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, გაიწერა დისტანციურად ჩართვის დროის განრიგი საგნობრივ ექსპერტებსა და სკოლის პედაგოგებს შორის და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა პერევის საჯარო სკოლის როგორც სოფელ ჯრიაში არსებული, ასევე პერევის სოფლის ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დირექციის წარმომადგენლებს, მშობლებს, მოსწავლეებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციულ პერსონალს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა საგნის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამების სახით, სკოლის წარმომადგენლებს გავაცანით ძირითადი რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოიკვეთა სკოლის მასალებით, ინტერვიუებისა და ინფრასტრუქტურის გაცნობის შედეგად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლა საუკუნეზე მეტ ისტორიას ითვლის. სკოლა გამოირჩევა მაღალი საგანმანათლებლო მიზნებითა და დიდი პასუხისმგებლობებით. ასევე, გამოირჩევა ადგილობრივი თემისთვის კულტურულ-ტექნოლოგიური მხარდაჭერისა და გაძლიერების კუთხით. აღსანიშნავია, რომ პერევის საჯარო სკოლა ოპტიმიზაციის შედეგად

მოიცავს სოფელ ჯრიას დაწყებითი საფეხურის მცირე კონტინგენტისა და ზომის სკოლასაც, რომელსაც თავისი არსებობით დიდი როლი შეაქვს სოფლის მაცხოვრებელთა კულტურულ, ეკონომიკურ და შემეცნებით განვითარებაში .
სკოლის გამორჩეული პრაქტიკა გამოიხატება პერევის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერის გასაძლიერებლად აქტიურად განხორციელებულ არაფორმალურ, ექსტრაკურიკულარულ აქტივობებში. კერძოდ, სკოლის ხელოვნების პედაგოგის ხელმძღვანელობით და მოსწავლეთა ინიციატივით არის განხორციელებული უამრავი აქტივობა და ღონისძიება. ასევე, სკოლაში არის კლუბები, რომლებიც აქტიურად ავითარებენ შემეცნების პროცესსა და ჩართულნი არიან თემის გაძლიერების პროცესში , რაც ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული სკოლის ადგილმდებარეობის გამო. სოფელი პერევი და მისი სკოლა მდებარეობს რეგიონოს კონფლიქტის ზონის მახლობლად.

სკოლის თითშეფასების დოკუმენტის გაცნობით, სკოლის სოციალური ქსელის პროფილის შესწავლით, დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტაციითა და სკოლაში ვიზიტისას ნანახი,
მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების წახალისებას და დამატებითი ღონისძიებების მხარდაჭერას. ასევე მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები, რაზედაც მიუთითებს სკოლაში არსებული მრავალფეროვანი შემეცნებითი, სასწავლო კლუბების არსებობა. ასევე, მოსწავლეებს რესურსების დასამზადებლად და შესანახად აქვთ გამოყოფილი გალერეა-ოთახი , სადაც მუშაობენ, ინახავენ გამოსაფენად თავიანთ ნამუშევრებს და უფრთხილდებიან საგულდაგულოდ.
სკოლაში ფუნქციონირებს არაერთი კლუბი და ხორციელდება სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. არაფორმალური განათლების დანერგვის პროცესში თანამშრომლობა ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა სკოლებთან. სკოლას ჰყავს აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის წევრებიც თავად არიან კლუბების შექმნისა და პროექტების დაგეგმვა- განხორციელების ინიციატორები.
მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები:

- ეკო კლუბი
- STEM კლუბი;
- ინგლისური ენის კლუბი;

აღნიშნული კლუბებში მოსწავლები წევრიანდებიან ინტერესების მიხედვით. კლუბებს აქვთ თავიანთი fb გვერდები, სადაც მუდმივად განახლებად რეჟიმში იდება ინფორმაცია მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტისა, თუ აქტივობის შესახებ. სკოლაში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სკოლის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისა. მაგ. სკოლა აქტიურად მონაწილეობს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში, სკოლის სპორტულ დარბაზში იმართება სასკოლო, თუ რაიონული შეჯიბრებები და ჩემპიონატები. სკოლამ 105 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოაწყო შემოქმედებითი საღამო, სადაც მოწვეული იყვნენ წარმატებული კურსდამთავრებულები, საზოგადო მოღვაწეები და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო სკოლის ევოლუციის ჩვენება სამი

ისტორიული შენობისა და შესაბამისი პერიოდების ჭრილში. ეს იყო ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ უპასუხა სკოლამ სხვადასხვა საუკუნის გამოწვევებს. სკოლა, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივის ფარგლებში, ახორციელებს „STEAM განათლების“ მხარდაჭერის პროგრამას. პროგრამის მიზანია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, ტექნოლოგიური წიგნიერებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. პროგრამა უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის არაფორმალური განათლების სივრცის შექმნას, სადაც თეორიული ცოდნა (ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა) დაკავშირებული იქნება პრაქტიკულ, ტექნოლოგიურ გადაწყვეტებთან. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს სკოლის გადამზადებული პერსონალი. კერძოდ, ბიოლოგიის მასწავლებელმა წარმატებით გაიარა სამინისტროს მიერ ორგანიზებული მრავალეტაპიანი შესარჩევი ტური: ვებინარების ციკლი და ტესტირება: 800 მასწავლებელს შორის საუკეთესო რეიტინგი მოიპოვა. პრაქტიკული ბანაკი: STEAM კლუბების მართვისა და პროექტული სწავლების მეთოდოლოგიის დაუფლება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სკოლის STEAM კლუბი სრულად იქნება აღჭურვილი სამინისტროს მიერ გადმოცემული სპეციალიზებული ნაკრებებით, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს: იმუშავონ რობოტოტექნიკაზე; ჩაატარონ ლაბორატორიული კვლევები; შექმნან ინოვაციური მოდელები. სკოლის გარემოს კეთილმოწყობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, დაწესებულებამ დაამყარა მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „რეგიონული განვითარების მხარდაჭერის ცენტრი“. სკოლას გადაეცა მრავალწლოვანი ხეების ნერგები. აქტივობის ფარგლებში ნერგების ნაწილი დაირგო სკოლის ეზოში, რაც მიზნად ისახავდა სასკოლო გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამწვანებული სივრცის გაფართოებას და მოსწავლეებში გარემოზე ზრუნვის კულტურის ჩამოყალიბებას. ნერგების მეორე ნაწილი დაირგო სკოლამდე მისასვლელ ფერდობზე, რომელიც ხასიათდებოდა ქვათაცვენის მომატებული რისკით. აღნიშნული ქმედება მიმართული იყო ფერდობის სტაბილიზაციის ხელშეწყობისკენ, ეროზიული პროცესების შემცირებისა და ტერიტორიის უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ. აქტივობამ ხელი შეუწყო, როგორც გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების პრაქტიკულ რეალიზაციას, ისე ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ადგილობრივი გარემოს განვითარების პროცესებში მათი აქტიური ჩართულობის გაძლიერებას. სკოლას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის საჯარო სკოლასთან და სპეთის საჯარო სკოლასთან, რაც, მიზნად ისახავს საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა გასვლითი სამუშაო შეხვედრა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელ ერგნეთში. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეებმა ჩაატარეს ინტერვიუები ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც ემსახურებოდა რეგიონის წინაშე არსებული სოციალურ, საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული პრობლემების იდენტიფიცირებას. შეხვედრის მიმდინარეობისას განხილულ იქნა არსებული გამოწვევები, მოსახლეობის საჭიროებები და შესაძლო მხარდამჭერი მექანიზმები, რაც მომავალში ერთობლივი საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი პროექტების დაგეგმვის საფუძვლად განისაზღვრება.“

სკოლის საუკეთესო გამოცდილებად და ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ხელოვნების პედაგოგის გამორჩეულად აქტიური მუშაობა სკოლაში. აღნიშნული პედაგოგი ფლობს ხატვის ხელოვნებას და ამ შესაძლებლობას აქტიურად იყენებს როგორც მოსწავლეთა უნარების გასაძლიერებლად, ასევე სკოლის ინტერიერის გასაუმჯობესებლად,

საგანმანათლებლო რესურსებისა და სკოლისთვის ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად. ექსპერტთა ვიზიტის დროს შევესწარით პედაგოგის ჩართულობით განხორციელებული ერთ-ერთი პროექტის მიმდინარეობას. პროექტი მოიცავდა სოფელ პერევის მოცულობითი მასშტაბის მაკეტის დამზადებას. მრავალფეროვანი რესურსებით, სამუშაოების ორგანიზებულად გადანაწილებით და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, ექსპერტების თვალწინ იქმნებოდა სოფელ პერევის ზუსტი მოდელის მაკეტი. აღნიშნული პედაგოგის მიერ იქნა მოხატული სკოლის რამდენიმე საკლასო ოთახი, დერეფნები, ფოიე. ნახატები არის შემეცნებითი სასწავლო რესურსები და განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. საკლასო ოთახების კედლებზე სასწავლო რესურსები კომპლექსურად არის შექმნილი და მოიცავს მრავალმხრივ სასწავლო მიმართულებასა და თემატიკას, რაც პედაგოგებს აძლევთ საკლასო ოთახში საგანმანათლებლო რესურსების მუდმივად ხელმისაწვდომობის საშუალებას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 260	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	სკოლას სულ გააჩნია 250 სასკოლო მერხი და ამდენივე სასკოლო სკამი.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვ უზრუნველყოფის მექანიზმ უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებ მართვის გეგმა, სკოლის მიმართ უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაცი უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსი საგანმანათლებლო და*	1. ***რეკომენდაცია,*** *უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით სკოლის ორივე სასწავლო კორპუსისთვის, როგორც ჯრიაში, ასევე პერევშიც, დაამონტაჟოს ვიდეო მეთვალყურეობის სისტემები შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადამდე(25.05.2027წ).* 2. ***რეკომენდაცია,*** *სკოლამ სოფელ ჯრიაში მდებარე დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობისთვის მოიპოვოს ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა, შესაბამისობის გეგმით გაწერილ პერიოდამდე (25.05.2027წ.)*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური	
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლ საქმიანობისთვის შესაბამ ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით და დადგენილი მოსწავლეთა ადგილებ ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ (25.05.2027-წელი) ვადამდე.
ინდიკატორი 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადამდე 25.05.2027)უნდ უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის სრულად ადაპტირება შ პირთათვის.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგად განათლების ეროვნულ მიზნებს	სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა ფორმულირებით შეესაბამება მიზნებს. ტექსტშივე არის მოცემული, რომ („ჩვენი მიზანია“) სკოლას აღნიშნული საკითხი მიზნებად აქვს წარმოდგენილი. სკოლას ექსპერტებისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლის ხედვას მისცეს შესაბამისი ფორმულირება.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა

ინდიკატორი N.3.1.1.1.	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციე მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სკოლის სტრუქტურაში სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ანგარიშვალდებულებები და იერარქიულობა წარმოადგინოს შესაბამისად.*
ინდიკატორი 3.1.2.6	*სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი*	*სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს წარმატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმები, კერძოდ , როდის და რა ფორმით ხდება წარმატებული გამოცდილების აღიარება, რამდენად არის ეს ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის დ ა.შ.*

ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვ უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებ მართვის გეგმა, სკოლის მიმართ უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაცი უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობი დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლ დაწესებულების*	• *ფიზიკური უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია , რომ სოფელ პერევში, სკოლის ეზოში მდებარე ძველი შენობის ნანგრევები ღობით გაიმიჯნოს სკოლის ეზოს ძირითადი ტერიტორიისგან.*
		  • *ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სოფელ ჯრიაში სკოლის ტერიტორია სრულად, უწყვეტად უნდა შემოიღობოს კაპიტალური ღობით.*
		  • *ასევე, სკოლის ეზოში არსებული ძველი საპირფარეშოს შენობა უნდა დაიკეტოს ისე, რომ მოსწავლეებმა ვერ შეძლონ მასში შესვლა.*
		  • *სკოლის ეზოში არსებულ ძველი შენობის საძირკველს უნდა გაუკეთდეს დემონტაჟი ყველა საჭირო პროცედურების დაცვით.*
		  • *სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შეიმუშაოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობით.*

	შემთხვევაში)	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *უმჯობესი იქნება, თუ კათედრა კურიკულუმების ჩარჩოს მეტად მოარგებს მის შინაარსს, რაც გულისხმობს შემდეგს: შემოქმედებითი დავალების გრაფაში წარმოდგენილია მხოლოდ დავლების პირობა და არსად მიზანი, მაშინ როდესაც, აღნიშნული გრაფა დასათაურებულია შემდეგნაირად: „შემოქმედებითი დავალების იდეა/მიზანი“; შესაბამისად, გამოდის, რომ სვეტში მოცემული ინფორმაცია ზუსტად ვერ პასუხობს მის სათაურს* ***(საგანი - ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასები;)*** ***მათემატიკა*** *მიზანშეწონილია, ინფორმაცია საგნობივი კურიკულუმის შესახებ უფრო ვსრულყოთ და შეიცვდეს: კურიკულუმის სახელწოდებას, სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრის/ წლის განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებების გარათებში ჩანდეს კონკრეტული დავალების მიზანი, მათ შორის სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, განისაზღვროს მისაღწევი შედეგების ინდიკატორები, მოლოდინები - რა უნდა შეძლოს მოსწავლემ, რომელი სასწავლო თემის*

		ფარგლებში სრულდება დავალება და რომელი სასწავლო რესურსი დაეხმარება მოსწავლეს მის შესრულებაში (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგანებში სამივე საფეხურზე); ***<u>მათემატიკა</u>*** *მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილი იყოს მათემტიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა. სამიზნე ცნებები ჩავშალოთ უფრო კონკრეტულად, მოკლედ და მკაფიოდ.* ***<u>განათლების დაწყებითი საფეხური</u>*** *მე-3 და მე-4 კლასების ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში სავალდებულო თემები გაიწეროს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *პედაგოგებთნ გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათი შეფასების სისტემა ნაკლებად მოიაზრებს მოსწავლეთა თვითშეფასების კომპონენტს, უმჯობესი იქნება, თუ ამ საკითხს უფრო სიღრმისეულად განიხილავს კათედრა და იმუშავებს აღნიშული კომპონენტის მეტად გათვალისწინებაზე მოსწავლეთა შეფასების პროცესში.* ***<u>სახელმწიფო ენა</u>*** *მიზანშეწონილია, შეფასების სქემები დავალების სრულ პირობასთან ერთად იყოს წარმოდგენილი, რომ მკაფიოდ ჩანდეს მიმართება დავალების პირობასა და შეფასების სქემას შორის.*

ინდიკატორი N 2.2.2.1.	*ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>* *მე-5 კლასის, საგნის - ჩვენი საქართველო, კურიკულუმში, დაკონკრეტდეს პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები ქმნიან დავალების ფარგლებში;* *<u>მათემატიკა</u>* *მიზანშეწონილია, თემის დამუშავების პროცესში გამოყენებული ძირითადი რესურსის, სახელმძღვანელოს მითითებისას მივუთითოთ გვერდები, ხოლო ელექტრონული რესურსების გამოყენებისას შესაბამისი ბმულები.*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *<u>საბაზო განათლების</u>* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>* *უმჯობესი იქნება თუ კათედრა კურიკულუმების ჩარჩოს მეტად მოარგებს მის შინაარსს, რაც გულისხმობს შემდეგს: შემოქმედებითი დავალების გრაფაში წარმოდგენილია მხოლოდ დავლების პირობა და არსად მიზანი, მაშინ როდესაც, აღნიშნული გრაფა დასათაურებულია შემდეგნაირად: „შემოქმედებითი დავალების იდეა/მიზანი“; შესაბამისად, გამოდის, რომ სვეტში მოცემული ინფორმაცია ზუსტად ვერ პასუხობს მის სათაურს **(საგანი - ისტორია მე-8, მე-10 კლასები);*** *მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოს/ცხრილს დაემატოს შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის სვეტი, სადაც სასწავლო თემების მიხედვით გაიწერება შესაბამისი შემოქმედებითი დავალების პირობა და ორი, ერთი და იგივე შინაარსის მქონე სვეტები (ძირითადი*

		კონტექსტს-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის) გაერთიანდეს ერთ გრაფაში/სვეტში; ***<u>მათემატიკა</u>*** *მიზანშეწონილია ინფორმაცია საგნობივი კურიკულუმის შესახებ უფრო ვსრულყოთ და შეიცვდეს: კურიკულუმის სახელწოდებას, სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრის/ წლის განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებების გარათებში ჩანდეს კონკრეტული დავალების მიზანი, მათ შორის სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, განისაზღვროს მისაღწევი შედეგების ინდიკატორები, მოლოდინები - რა უნდა შეძლოს მოსწავლემ, რომელი სასწავლო თემის ფარგლებში სრულდება დავალება და რომელი სასწავლო რესურსი დაეხმარება მოსწავლეს მის შესრულებაში (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგანებში სამივე საფეხურზე);* *გეოგრაფიის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შედარებით მწირი რაოდენობით გვხვდება შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები, უმჯობესი იქნება, თუ თითოეული სასწავლო თემისთვის მინიმუმ ერთი ასეთი ტიპის დავალება მაინც იქნება გათვალისწინებული.* ***<u>მათემატიკა</u>*** *მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემტიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა. სამიზნე ცნებები ჩავშალოდ უფრო კონკრეტულად, მოკლედ და მკაფიოდ.*

ინდიკატორი N2.1.2.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>* *მე-7, მე-9, მე-10 კლასის ისტორიის და მე-7, მე-8, მე-9 კლასის მოქალაქეობ კურიკულუმებში სასურველია, კათედრამ წარმოადგინოს უფრო მრავალფეროვა და შემოქმედებითი დავალებებისთვის რელევანტური, დამატებითი სასწავლ რესურსი (მათ შორის ინტერნეტ რესურსები).*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>* *პედაგოგებთნ გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათი შეფასების სისტე ნაკლებად მოიაზრებს მოსწავლეთა თვითშეფასების კომპონენტს, უმჯობეს იქნება, თუ ამ საკითხს უფრო სიღრმისეულად განიხილავს კათედრა დ იმუშავებს აღნიშული კომპონენტის მეტად გათვალისწინებაზე მოსწავლეთ შეფასების პროცესში.* *<u>სახელმწიფო ენა</u>* *მიზანშეწონილია, შეფასების სქემები დავალების სრულ პირობასთან ერთად იყოს წარმოდგენილი, რომ მკაფიოდ ჩანდეს მიმართება დავალების პირობასა და შეფასების სქემას შორის.*
ინდიკატორი N 2.2.2.1.	*ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>* *სასურველია მე-10 ლასის ისტორიის კურიკულუმში, შემოქმედებითი დავალების პირობაში ზუსტად გაიწეროს, თუ კონკრეტულად რა სახის პროდუქტს ქმნის მოსწვლე (სტატია, კომიქსი, თხზულება, საინფორმაციო ბუკლეტი, პოსტერი და ა.შ.) და რაზე დაყრდნობით აკეთებს ე.წ. „ზეპირ მოხსენებას“* *<u>მათემატიკა</u>*

		მიზანშეწონილია თემის დამუშავების პროცესში გამოყენებული ძირითადი რესურსის, სახელმძღვანელოს მითითებისას მიუთითოთ გვერდები, ხოლო ელექტრონული რესურსების გამოყენებისას შესაბამისი ბმულები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საშუალო განათლების* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* *მოქალაქეობის პროექტული სწვლების ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების გეგმებში (მე-11, მე-12 კლასებში) გაიწეროს პროექტის განხორციელების ვადები. სამიზნე პირები (ვისთან ჩატარდა გამოკითხვა/კვლევა), მოსალოდნელი შედეგები, გამოწვევები, თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირები.* *მათემატიკა* *მიზანშეწონილია ინფორმაცია საგნობივი კურიკულუმის შესახებ უფრო ვსრულყოთ და შეიცვდეს: კურიკულუმის სახელწოდებას, სასწავლო საგნი ხანგრძლივობა სემესტრის/ წლის განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* *შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებების გარათებში ჩანდეს კონკრეტული დავალების მიზანი, მათ შორის სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, განისაზღვროს მისაღწევი შედეგების ინდიკატორები, მოლოდინები - რა უნდა შეძლოს მოსწავლემ, რომელი სასწავლო თემის ფარგლებში სრულდება დავალება და რომელი სასწავლო რესურსი*

		დაეხმარება მოსწავლეს მის შესრულებაში (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგანებში სამივე საფეხურზე); ***<u>მათემატიკა</u>*** *მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემტიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა. სამიზნე ცნებები ჩავშალოდ უფრო კონკრეტულად, მოკლედ და მკაფიოდ.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *პედაგოგებთნ გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათი შეფასების სისტემა ნაკლებად მოიაზრებს მოსწავლეთა თვითშეფასების კომპონენტს, უმჯობესი იქნება, თუ ამ საკითხს უფრო სიღრმისეულად განიხილავს კათედრა და იმუშავებს აღნიშული კომპონენტის მეტად გათვალისწინებაზე მოსწავლეთა შეფასების პროცესში.* ***<u>სახელმწიფო ენა</u>*** *მიზანშეწონილია, შეფასების სქემები დავალების სრულ პირობასთან ერთად იყოს წარმოდგენილი, რომ მკაფიოდ ჩანდეს მიმართება დავალების პირობასა და შეფასების სქემას შორის.*
ინდიკატორი N 2.2.2.1.	*ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***<u>მათემატიკა</u>*** *მიზანშეწონილია თემის დამუშავების პროცესში გამოყენებული ძირითადი რესურსის, სახელმძღვანელოს მითითებისას მიუთითოთ*

		გვერდები, ხოლო ელექტრონული რესურსების გამოყენებისას შესაბამისი ბმულები.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც გაწერილია სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში და ასევე სკოლის 2025-2026 წლების სასწავლო გეგმაში.

„სკოლის მისიაა ხელი შეუწყოს მრავალმხრივ განვითარებული, ინტელექტუალურად და ფიზიკურად ძლიერი პიროვნების ფორმირებას. ინოვაციური STEM-სტრატეგიებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებით, ჩვენ ვქმნით დინამიკურ საგანმანათლებლო გარემოს. პარალელურად, სკოლა ორიენტირებულია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, რაც მოსწავლეებში გუნდური მუშაობისა და ტექნოლოგიური კომპეტენციების სინთეზს უზრუნველყოფს — ეს ყოველივე კი თანამედროვე გლობალურ საზოგადოებაში წარმატებული თვითრეალიზაციის საფუძველია.“

სკოლის ხედვა მოიცავს შემდეგს: „ჩვენი მიზანია, 2032 წლისთვის სკოლა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიებით და ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სივრცე, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად მუშაობენ საერთო წარმატებისთვის. ჩვენი მიზანია პატრიოტი, მტკიცე ხასიათის და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობის აღზრდა...“

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა ფორმულირებით შეესაბამება მიზნებს. ტექსტშივე არის მოცემული, რომ („ჩვენი მიზანია“) სკოლას აღნიშნული საკითხი მიზნებად აქვს წარმოდგენილი.

რჩევა: სკოლას ექსპერტებისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლის ხედვას მისცეს შესაბამისი ფორმულირება.

მისია და ხედვა სრულად გამომდინარეობს სკოლის საჭიროებებიდან და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

1.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა თავისი მისიითა და ხედვით, ასევე მრავალწლიანი გამოცდილებით და სკოლის ძირითად დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, საკუთარი პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენას, მომზადებას თანამედროვე გამოწვევებისთვის.
სკოლის საქმიანობა ეფუძნება - შექმნას სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემო, მისი ძირითადი პრინციპია ფიზიკური და ფსიქო-სოციალური გარემოს სრულყოფა, უსაფრთხოების ნორმების დაცვა, რაც ხელს უწყობს სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას.
სკოლა სასკოლო საზოგადოებას აძლევს საშუალებას მონაწილეობა მიიღონ სკოლის ბიუჯეტირების პროცესში. ასევე სასკოლო საზოგადოებასთან ზეპირსიტყვიერი ფორმით ხდება იდეის გაცნობა/გაზიარება და მათი ჩართვა პროექტებში,რომლებიც ხელს უწყობენ სოცო-კულტურული სივრცის განვითარებას. სკოლაში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. აქტიურად მუშაობს სკოლის თვითმმართველობა, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები ხორციელდება ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე.
როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მისია , ხედვა და ღირებულებები სრულად გამომდინარეობს სკოლის საჭიროებებიდან, რითაც იგი განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო , ასევე პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცე.

1.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მიერ, განხილულია პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 18 ივნისის N6 სხდომაზე და დამტკიცებულია 2025 წლის 25 ივნისის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (ოქმი N6), ასევე, დირექტორის **ბრძანება ნ 2-01**ის საფუძველზე, რომელიც სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნას მოიცავს, მტკიცებულებაა იმისა, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. კერძოდ, სკოლის მისიის და ხედვის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ: საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო. ზეპირი და წერილობითი უკუკავშირის მიღებით გათვალისწინებული იყო მათი ინტერესები, სურვილები და შეხედულებები.
2025 წლის 8 სექტემბრის **სამეურვეო საბჭოს N 3** სხდომის ოქმის მიხედვით საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და 2026 წლის 8 სექტემბერს დამტკიცებულია **პედაგოგიური საბჭოს მიერ N1 ოქმით.** აღნიშნული სხდომის ოქმი ასევე ადასტურებს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას სკოლის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გათვალისწინებით შექმნილი წლიური გეგმის შემუშავების პროცესში.

1.1.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მოქმედი მისიისა და ხედვის გაზიარება განხორციელდა სამეურვეო საბჭოს სხდომებზე ძირითადი დოკუმენტების დამტკიცების პროცესში და ასევე, კლასის დამრიგებლების მეშვეობით, რაც გულისხმობს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის სკოლის მისიის შემუშავების პროცესში ჩართვას. სკოლამ წარმოადგინა შეხვედრის დამადასტურებელი მასალები, სადაც ასახულია ინფორმაცია, თუ როგორ იყვნენ ჩართულები აღნიშნულ პროცესებში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე და მასწავლებლები. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები, რომელთა წევრები ეცნობიან სკოლაში არსებულ სიახლეებს და უზიარებენ ერთმანეთს აზრს. ასევე, სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმი, რომლის მიხედვითაც მშობლებთან მოხდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების განხილვა, რაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოებისთვის მის გაზიარებას.

1.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაწერილია სკოლის სხვადასხვა ძირითად დოკუმენტში: სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე, გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობას. სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ვებ გვერდზე (skolebi.emis.ge) რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

1.1.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ჯრიას დაწყებითი სკოლის ოპტიმიზირება განხორციელდა პერევის საჯარო სკოლასთან მიერთების გზით ,,ზოგადსაგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 8 აგვიტოს N400 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 03 აპრილის N 239 ბრძანების საფუძველზე.

სკოლის სახელწოდება შესაბამისობაშია მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონით დადგენილ ტერმინთან.

1.1.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026
დანართი 2. საჯაროობის უზრუნველყოფის ამსახველი ფოტო დანართი
დანართი 3. სკოლის ვებგერდის ლინკი https://bit.ly/4qghZRR
დანართი 4. სკოლის სახელწოდება და სტატუსი
დანართი 5. სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფის გრძანება
დანართი 6. სამეურვეო საბჭოს ოქმი
დანართი 7. პედაგოგიური საბჭოს ოქმი
დანართი 8. სადამრიგებლო შეხვედრების ოქმი.
დანართი 9 .სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი, სასკოლო გარემოს ანალიზია, რომელიც ეხმარება სასკოლო საზოგადოებას მართვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების სისტემურად და კომპლექსურად მუშაობაში. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გამოყენებულია ყველაზე გავრცელებული მიდგომა: SWOT ანალიზი, რომელიც იძლევა საშუალებას გამოიკვეთოს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე, შესაბამისად განისაზღვროს მიზნები და ამოცანები.

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. ხოლო სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; ასევე, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

მეთოდოლოგიის დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად უნდა შემუშავდეს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგინა კანონმდებლობის შესაბამისად, დირექტორის ***<u>ბრძანება N2-02-ით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.</u>*** აღნიშნულით ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ითვლება.

1.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით და შესაბამისობაში არის სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. მასში მოცემულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ამოცანების ინდიკატორები და აქტივობები გაწერილია შვიდწლიან პერიოდზე. სტრატეგია განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა

დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, იგი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, რომელშიდაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, ციფრული განვითარება და სამოქალაქო ცნობიერება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შსაბამისად.

1.2.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და მოწოდებული მასალებით დგინდება, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026). ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს სტრატეგიულ გეგმაში (შვიდწლიან გეგმაში) წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს და იმისათვის, რომ სკოლამ მიაღწიოს დასახულ სტრატეგიულ მიზნებს, პასუხობს კითხვაზე, თუ რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს. შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით.

1.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ პერევის საჯარო სკოლამ 2025-2026 სასწავლო წლის სტრატეგიული გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რეფლექსიით. გარდა ამისა, გაითვალისწინა ახალი გამოწვევები და მეტი განვითარებისათვის გამოყო 4 ძირითადი მიმართულება. ესენია:

1. სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება.
2. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება.
3. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება.
4.უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა.

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღნიშნულ მიმართულებებზე განსაზღვრული ამოცანების შესრულების ვადები სრულად რეალისტურია. ასევე განსაზღვრულია პასუხისმგებელ პირთა/სტრუქტურულ ერთეულთა ჩამონათვალი და რესურსები. აქედან გამომდინარე, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

1.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
დანართი 2. სტრატეგიული განვითარების გეგმა
დანართი 3.სკოლის სამოქმედო გეგმა
დანართი 4. სამეურვეო საბჭოს ოქმი
დანართი 5. საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის **მუხლი11** მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო აღნიშნული დოკუმენტის დანართი N1-ით გაწერილია შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები ცხრილის სახით. მონიტორინგის ნაწილში მოხდება შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობების იდენტიფიცირება, შეფასების ნაწილში, შინაარსობრივი ანალიზის წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, ანალიზის შედეგები გამოიყენება მომდევნო სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ. მონიტორინგისა და ობიექტური შეფასების სისტემა გაზრდის საზოგადოების ნდობას სკოლის დირექციის საქმიანობისადმი. ასევე, ხელს შეუწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული, დაგეგმილი მიზნების მიღწევის გზები.

1.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

რადგან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას , ხოლო წარმოდგენილი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 2025-2032 წლებს, ამავე დროს, სტრატეგიული მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სკოლა მონიტორინგს და შეფასების პროცესს გეგმავს სასწავლო წლის ბოლოს აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება.

1.2.2.2 ინდიკატორი ვერ შეფასდა.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები უნდა გასაჯაროვდეს ყველა საკომუნიკაციო არხით, რომელსაც სკოლა იყენებს. ვინაიდან, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სასწავლო წელს, 2025-2026 სასწავლო წლის ბოლოს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები გამოქვეყნდება სკოლის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

1.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება შეფასდება და გამოიყენება სკოლის განვითარებისთვის. 2026 წლის 5თებერვალს სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგგმის მონიტრინგის და შეფასების მექანიზმით (N 2-05), მოხდება სკოლაში მიმდინარე პროცესების შეფასება, მოკვლევა ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციების, გამოიკვეთება საჭიროებები, პრობლემები და დაისახება გადაჭრის გზები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი არის შედეგების გაზიარების შემდეგ დაინტერესებული პირებისგან მიღებული უკუკავშირი/რეფლექსია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება გეგმის ამოქმედებიდან ექვსი თვის შემდეგ, წლის ბოლოს სკოლის დირექტორი, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე კათედრების მუშაობის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, მოახდენს შეფასებას. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლა გაანალიზებს, განსაზღვრავს წარმატებულ პრაქტიკას და სუსტ მხარეებს, თითოეულ აქტივობას მიანიჭებს შესაბამის სტატუსს, რომელსაც

გამოიყენებს მომავალი საქმიანობების დასაგეგმად, რათა მოხდეს თავსებადობა სტრატეგიული განვითარების გეგმასთან საბოლოო მიზნის მისაღწევად, ან ახალი რეალობის გათვალისწინებით მოახდინონ მასში ცვლილებების შეტანა.

1.2.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
დანართი 2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
დანართი 3. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები
დანართი 4. გაკვეთილზე დაკვირვება,ურთიერთდასწრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მრჩეველთა საბჭო.

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი პირობების შეთავაზებას.

სკოლას აქვს საგნობრივი 7 კათედრა, სადაც საგნობრივი პროგრამების მიხედვით გაერთიანებულია 26 მასწავლებელი,

- სახელმწიფო ენის
- უცხოური ენების კათედრა ;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა;
- მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა;
- სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა
- დაწყებითი კლასების კათედრა

პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტის, დირექტორის უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის წესდებაში, რითაც ხელმძღვანელობს სკოლა. კათედრების, კათედრის ხელმძღვანელის, კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. დირექტორის და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, მასწავლებლების უფლება მოვალეობები დაკონკრეტებულია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთანგარიშვალდებულებები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. ***სკოლას მიეცა რჩევა: სკოლის ორგანიგრამაში სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ანგარიშვალდებულებები და იერარქიულობა წარმოადგინოს შესაბამისად.***

ინდიკატორი 3.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის საშტატო განრიგით, სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) ასახული პერსონალისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზით და სასკოლო სასწავლო გეგმის შეჯერებით დგინდება, რომ სკოლის სრუქტურული ერთეულების/პირებს შორის ფუნქციების და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის

შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების და სხვა სტრუქტურული რგოლების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის სამუშაოს. ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობა განაწილებულია ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სკოლის გამართულ მუშაობას. ექსპერტთა ვიზიტის დროს იკვეთებოდა სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

*სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი., რის გამოც დასკვნის პროექტში გაიწერა ხარვეზი. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 19 სექტემბერს დირექტორის **ბრძანება 2-34**-ით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი.* აღნიშნულით ინდიკატორი დაკმაყოფილებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ინდიკატორი 3.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ორგანიგრამა;*
2. *დებულება (2025 წლის 29.10. ბრძანება №2-48);*
3. *ბრძანება 2025-2026 სასწავლო წლისათვის საშტატო განრიგისა და სკოლის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ*
4. *საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები (2025 წლის 19.09 ბრძანება N2-34);*
5. *შინაგანაწესი;*
6. *2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;*
7. *2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
8. *თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
9. *სკოლის ემისის(emis) გაზა;*
10. *სკოლის ვებგვერდი.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის ყოველი თანამშრომლის საქმიანობა რეგულირდება ხელშეკრულებით, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები და ერთი ეგზემპლარი გადაცემული აქვს დასაქმებულს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლა ვალდებულია, დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება, მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის პირველ სართულის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი 3.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში ხორციელდება საჭიროებაზე დაფუძნებული პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა. სკოლაში შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი” (შეიქმნა 2025 წლის 29 ოქტომბერს, სკოლის დირექტორის **N1/ჯ-24** ბრძანებით) რომელიც დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის შინაგანაწესი არაგულირებს დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოს სკოლამ თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები არ შეფერხდეს. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, პერსონალის პრევენციული და ინტევენციული მართვისათვის სკოლა ახდენს ადამიანური რესურსის საჭიროების დროულ ანალიზს, განსაზღვრავს საჭიროებებს და შემდგომ გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

სკოლა ხელმძღვანელობს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის” (2025 წლის 18 ნოემბრის ბრძანება **N2-59**) დოკუმენტით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. წარმოდგენილია სკოლის მართვის მიზნები, ამოცანები და პრინციპები, ღირებულებები, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, სტრატეგია, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, კადრების მოზიდვა-შერჩევის რეგულაციები, მასწავლებლისა და სპეც. მასწავლებლის

საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შერჩევის საკონკურსო პირობები, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის რეგულაციები, მამოტივირებელი ფაქტორები, შესრულებული სამუშაოს შეფასება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის რეგულაციები და სხვა. სკოლაში შემუშავებულია ,,საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (2025 წლის 19.09. ბრძანება **N2-34**), რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის შერჩევა. სკოლაში მოქმედებს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებებს რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლა მასწავლებელთა საჭიროებების დადგენას ახდენს საგაკვეთილო დასწრებით, რისთვისაც იყენებს გაკვეთილის შეფასების ფორმას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

ინდიკატორი 3.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

პერსონალის მართვის პოლიტიკაში მოცემული თანამშრომელთა შერჩევის რეგულაციები და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის” და სკოლის კონკურსის გამოცხადების წესის შესაბამისად. სკოლა ვალდებულია შიდა ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში, ინფორმაცია განათავსოს სკოლის განცხადებების ადგილას, ხოლო გარე ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში ინფორმაცია განათავსოს ვებ-გვერდზე: www.teacherjobs.ge. კონკურსანტის შერჩევა ხდება რამდენიმე ეტაპად. გარდა ამისა, პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირად საქმეში მოთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ. 2020 წლის შემდეგ დანიშნულ მასწავლებელთა პირად საქმეებში ასევე წარმოდგენილია ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 3.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით ,,საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ განსაზღვრულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. emis-ის მონაცემებით, სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი-1; დირექტორის მოადგილე -1 უფროსი მასწავლებელი-16; წამყვანი მასწავლებელი-6; მოწვეული მასწავლებელი-0; მასწავლებლობის მაძიებელი-0; სპეციალური მასწავლებელი-1; ბუღალტერი-1; დარაჯი-1; ბიბლიოთეკარი-1; ექთანი-1; დიასახლისი-2;

ექსპერტების მიერ შესწავლილი თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების, ასევე თანამშრომელთა ბაზის დათვალიერებით დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაცია და მოთხოვნები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

თუმცა, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას ჰყავდა 4 უსტატუსო პედაგოგი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 17 აპრილს დირექტორის მიერ გამოცემული **ბრძანება N2-13** სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლაში მათემატიკის, სპორტის და დაწყებითის(მათემატიკა, ქართული ,ბუნებისმეტყველება) ვაკანტური საათების შესავსებად შიდა კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ვადების (17.04.26-24.04.26)განსაზღვრის შესახებ.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტით, სკოლაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვის პოლიტიკა მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობით და დემოკრატიული კულტურის ფორმირებასა და განვითარებაზე. სკოლა იყენებს გუნდური მუშობის პრინციპებს, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. სკოლის დისციპლინური კომიტეტი შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი, მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს მასწავლებლებთან. ასევე, ფუნქციონირებს ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმილია და აქტიურად ხორციელდება სასკოლო საგანმანათლებლო პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და

აქტივობები. მასწავლებლები თანამშრომლობენ საკლუბო მუშაობის ფარგლებშიც. სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა. სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. კათედრების ფუნქციები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. როგორც ოქმების შესწავლისა და საგნობრივ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კათედრების და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებების, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესის ანალიზით და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები.

ინდიკატორი 3.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლას ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში წარმოდგენილი აქვს მასწავლებლის საქმიანობის შეფასების შიდა მექანიზმები. სკოლა ამ შეფასების საფუძველზე ახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას. სკოლის შინაგანაწესით და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, ან/და მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ორიენტირებულია წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის განვითარებაზე, რისთვისაც სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლებს, სხვადასხვა ტრენინგებზე მიღებული გამოცდილების გაზიარებაზე.

ასევე, კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო **რჩევა: სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში უფრო მკაფიოდ**

განისაზღვროს წარმატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმები, კერძოდ როდის და რა ფორმით ხდება წარმატებული გამოცდილების აღიარება, რამდენად არის ეს ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის და ა.შ.

ინდიკატორი 3.1.2.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (2025 წლის 18 მარტის ბრძანება N2-59);*
2. *შინაგანაწესი (დამტკიცებულია 2025 წლის 08.09.)*
3. *შრომითი ხელშეკრულებები;*
4. *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (2025 წლის 29 ოქტომბრის, ბრძ. N02-48);*
5. *ბრძანება ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ (2025 წლის 25 ოქტომბერი ბრძანება N1/ვ-24);*
6. *„საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები“*
7. *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*
8. *emis-ის ბაზა;*
9. *ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;*
10. *ხელშეკრულებების ჟურნალი;*
11. *კათედრის დებულება;*
12. *კათედრის ოქმები;*
13. *ხარისხის ჯგუფიის ოქმები;*
14. *პედსაბჭოს ოქმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსები მართვის პოლიტიკით (2025 წლის 18 ნოემბერი, ბრძანება N2-59) განსაზღვრულია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, რომლის უმნიშვნელოვანესი აქტივობაა მასწავლებელთა და თანამშრომელთა საჭიროებების დადგენა. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია და დამტკიცებულია ამ ჯგუფის დებულება. დებულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მასწავლებლის მხარდაჭერისა და შეფასების მექანიზმები. ჯგუფის მიზანია: ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება; ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა; ე) მასწავლებელთა თვითშეფასების გათვალისწინება. აღნიშნული ჯგუფი ესწრება პედაგოგებს გაკვეთილზე და აძლევს განმავითარებელ შეფასებას. შეფასების საფუძველზე ხდება მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა. ამის გარდა სკოლას აქვს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში თანამშრომლობის პრაქტიკა. მასწავლებლები ინტერვიუირებისა და რეფლექსიების საფუძველზე ასახელებენ საკუთარ საჭიროებებს. დირექტორთან გასაუბრებით, მასწავლებლის პრაქტიკულ საქმიანობაზე დაკვირვება ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულება მასწავლებლის საჭიროებების დადგენაში. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, სკოლაში ხორციელდება მასწავლებელთა სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესი, რაც ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად

მოთხოვნებთან დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში.ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა დიდწილად ყურადღებას აქცევს მასწავლებელთა საჭიროების გამოვლენას წინასწარ დადგენილი ინსტრუმენტების (გაკვეთილის შეფასების რუბრიკები, მასწავლებელთა თვითრეფლექსიის აღმწერი დოკუმენტი და სხვ.)

ინდიკატორი 3.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის მართვის განვითარებისა და პროფესიულ მხარდამჭერთა ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები.მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის:

- ✓ თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება;
- ✓ სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება;
- ✓ მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ.

მასწავლებელთა კათედრაზე საქმიანობაც ითვალისწინებს მათ საჭიროებების დადგენას და ამის გათვალისწინებით მათთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას. დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა (საჭიროების კვლევის კითხვარები, გაკვეთილზე დასწრების ბარათები, მასწავლებელთა რეფლექსიები და სხვ.)

ინდიკატორი 3.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მხარდაჭერილია სხვადასხვა ფორმით და თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა პედაგოგისთვის. სკოლა მასწავლებლის პიროვნების პროფესიული განვითარებისთვის იყენებს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: სკოლის ბაზაზე პრაქტიკის გაზიარება, ტრენინგები, ურთიერდახმარება სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების გაზიარებით. სკოლა თანაბარ პირობებს ქმნის ყველა მასწავლებელისთვის აიმაღლოს კვალიფიკაცია, რაც დაეხმარება მასწავლებელს გააუმჯობესოს სწავლ-სწავლების ხარისხი. ამ მიზნით სკოლა რეკომენდაციას უწევს და სთავაზობს ტრენინგებს, კონფერენციებს, სადაც მასწავლებლებს აქვთ საშუალება დაესწრონ, მიიღონ მონაწილეობა,

გამოცდილება გაუზიარონ კოლეგებს და გასცენ კონსტრუქციული უკუკავშირი, გაიუმჯობესონ პედაგოგიური პრაქტიკა და საჭიროების შეთხვევაში განახორციელონ მიზნობრივი ინტერვენციები სასწავლო პროცესში, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ისე მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, რადგან მასწავლებლების პროფესიონალიზმი პირდაპირ უკავშირდება მოსწავლის წარმატებასაც.

სკოლა ასევე ხელს უწყობს, რომ პროფესიულ განვითარებაში, მასწავლებლების გარდა, აქტიურად იყოს ჩართული სკოლის ბუღალტერი და საქმისმწარმოებელი. ბუღალტერთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ბოლო პერიოდში სკოლის დირექტორთან ერთად დაესწრო ტრენინგებს, სკოლის ფინანსური მიმართულებით, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მართვის პოლიტიკა ამ მიმართულებითაც განსაზღვრავს გარკვეულ პროცედურებს. ინიციატივები იკვეთება ძირითადად პერსონალის პროფესიული საჭიროებების მიმართულებით, ან ზეპირსიტყვიერად მასწავლებლებისა და პერსონალის მხრიდან. დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარეობს არაფორმალური განათლების, კლუბური მუშაობის მრავალფეროვანი აქტივობები, რაც განაპირობა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, სწორედ მასწავლებელთა ინიციატივების წახალისებამ. გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (2025 წლის 18 ნოემბერი. ბრძანება N2-59) არეგულირებს სკოლაში ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესს. ადაპტაციის პროცესში ხდება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სკოლის ორგანიზაციული მოწყობის, სამუშაო პროცესისა და დავალებების შესრულების სტანდარტების, სკოლის შინაგანაწესის და სხვა დოკუმენტაციის გაცნობა, რომლითაც ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესი სკოლაში. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისთვის აქტივობები. ასევე კათედრის დებულების მიხედვით, კათედრის ერთ-ერთი ამოცანაა პედაგოგებს შორის ურთერთთანამშრომლობის განვითარება. ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია, შესაბამისად, ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია ახალ სამუშაო გარემოსთან ეფექტურად ხორციელდება. სკოლა აცნობს მათ სკოლის ძირითად, მარეგულირებელ დოკუმენტებს. შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით.

ინდიკატორი 3.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მართვის პოლიტიკა ამ მიმართულებითაც განსაზღვრავს გარკვეულ პროცედურებს. ინიციატივები იკვეთება ძირითადად პერსონალის პროფესიული საჭიროებების მიმართულებით, ან ზეპირსიტყვიერად მასწავლებლებისა და პერსონალის მხრიდან. დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარეობს არაფორმალური განათლების, კლუბური მუშაობის მრავალფეროვანი აქტივობები, რაც განაპირობა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, სწორედ მასწავლებელთა ინიციატივების წახალისებამ. ამ აქტივობების ფარგლებში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ როგორც სკოლის შიგნით, ინტეგრირებული აქტივობების ფარგლებში, ისე სკოლათაშორის, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასაც. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნეს, ინიციატივები პერსონალის მხრიდან ძირითადად გამოიკვეთება ზეპირსიტყვიერად.

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმებად შინაგანაწესის მიხედვით გათვალისწინებულია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის მიერ შეთავაზებული წახალისების სისტემა დასაქმებულებისთვის ქმნის მოტივაციას იყვნენ აქტიურები და განვითარდნენ პროფესიულად. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დასაქმებულებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ რა სახის დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების კუთხით.

ინდიკატორი 3.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი*
2. *სკოლის შინაგანაწესი;*
3. *პროფესიული განვითარების მექანიზმები;*
4. *ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა (2025 წლის 18 ნოემბერი . ბრანება N2-59);*
5. *კათედრის დებულება;*
6. *კათედრის ოქმები;*
7. *მონიტორინგის ჯგუფის დებულება;*
8. *მონიტორინგის ჯგუფის ოქმები და ანგარიში;*

9. *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება (2025 წლის 25.09. ბრძანება N2-48);*
10. *ხარისხისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის ოქმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას წარმოდენილი აქვს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2025-2026 წლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვაზე პასუხსიმგებელი პირი. სკოლის მმართველობითი პროცესები, მაგალითად: სტრატეგიული დაგეგმვა და წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად; ადამიანური რესურსების მართვა, კარიერული განვითარება, ფინანსური რესურსების მართვა და სხვა დამხმარე პროცესები

იმართება ასევე განსაზღვრული მექანიზმით. განსაზღვრულია სკოლის დამხმარე პროცესებიც. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი შედგება შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

- ზოგადი დებულებები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანი
- ხარისხის უზრუნველყოფის გამოყენების არე
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები
- ხარისხის შიდა და გარე შეფასება
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ინსტუმენტები

თითეული მიმართულება მოიცავს დემინგის ციკლის ოთხივე ეტაპს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე “. გაწერილია თითოეული ეტაპის შესაბამისი პროცედურები. სკოლა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ცდილობს იკვლიოს პროცესები მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა გამოკითხვებით, გაკვეთილების შეფასების ანალიზით, განხორციელებული პროექტების შეჯამებით, სასწავლო წლის ბოლოს წარდენილი ანგარიშებით.

3.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში განსაზღვრული და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; ასევე ძირითად მმართველობით მიმართულებებში წარმოდგენილია სკოლის მეთოდოლოგიები, სადაც დეტალურად არის აღწერილი დემინგის ციკლის თითოეული ეტაპის შესაბამისი პროცედურები, კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, ჩართული მხარეები.

ინდიკატორი 3.3.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას წარმოდგენილი აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური და გამოცდილი სისტემა. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია, როგორც სხვადასხვა სახის დისციპლინური

გადაცდომები, ასევე ამ გადაცდომების შესაბამისი სახდელები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალება აქვს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სკოლის დირექტორთან, დისციპლინურ კომიტეტთან. სასკოლო საზოგადოების ყველა მხარეს შეუძლია ისარგებლოს გასაჩივრების და აპელაციის უფლებით. სკოლის დისციპლინური კომიტეტი დაკომპელქტებულია თანაბარი მონაწილების უფლების მქონე მოსწავლეებით, მასწავლებლებითა და მშობლებით. სკოლის ნებისმიერი თანამშრომელი, მოსწავლე და მშობელი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის პრინციპს. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი გატარდება რეგისტრაციაში და მათზე რეაგირება განხორციელდება "ზოგადი განათლების შესახებ კანონის II თავის მე-12 მუხლით დადგენილი წესით. ბავშვთა უფლებების დაცვა რეგულირდება ასევე „ბავშვთა უფლებათა კოდექსის„ შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი უფლებების დაცვის შესახებ ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, ხოლო მასწავლებლებს - შინაგანაწესის გაცნობისას. შინაგანაწესით განისაზღვრება სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენებისა და დასვენების დრო, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავი ჩამონათვალი, წახალისებისა და დისციპლინური სახდელების გამოყენების პრინციპები, დასაქმებულისა და მოსწავლის მატერიალური პასუხსიმგებლობა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. მშობელსა და სკოლას შორის არსებობს შეთანხმებები, რომლის საფუძველზეც მშობელი/მეურვე გამოთქვამს თანხმობას მაგალითად, ექსკურსიაზე წასვლასთან დაკავშირებით, საჭიროებისამებრ, უსაფრთხოების ნორმების დაცვით გამოქვეყნებული იყოს მოსწავლის პირადი მონაცემები და ფოტოები. მოსწავლის და მშობლის უფლებები და მოვალეობები წარმოდგენილია მშობელთან დასადებ ხელშეკრულებებში. ხელშეკრულების ტექსტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მშობელთა ერთობლივი თანხმობები ფოტო და ვიდეოგადაღებაზე, სადაც ყველა მშობელი ხელმოწერით ადასტურებს ნებას.

ინდიკატორი 3.3.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;*

2. *სკოლის შინაგანაწესი;*
3. *სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკა;*
4. *სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
5. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
6. *მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
7. *შრომითი ხელშეკრულებები;*
8. *ხელშეკრულებები მშობელთან.*
9. *მშობელთა კრების ოქმები*
10. *კოლექტიური თანხმობის დოკუმენტები;*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სკოლა აქვეყნებს სკოლის ცენტრალურ ფოიეში, განცხადებების დაფაზე და ასევე მის გვერდზე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები (მაგალითად, მრჩეველთა საბჭოს, დისც. კომიტეტის სხდომაზე მოწვევა). სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების კიდევ ერთი საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://onlineschool.emis.ge/, სკოლის ელ-ფოსტა; სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სკოლის სოციალური გვერდით, სკოლის პორტალით. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, სადაც წარმოდგენილია ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მკაფიო მექანიზმები, რითაც სასკოლო საზოგადოება მეტად ინფორმირებული და ჩართული იქნება სკოლის ცხოვრებაში.

ინდიკატორი 3.3.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. . სკოლაში სრული შემადგენლობით აირიჩიეს სამეურვეო საბჭო. ასევე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი,

მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა). გარდა კონკრეტულად განსაზღვრული დღეებისა, მშობელი შეზღუდული არ არის ნებისმიერ დროს შეხვდეს დირექციას, მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს მათთან შეთანხმებით

ინდიკატორი 3.3.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;*
2. *სამეურვეო საბჭოს არჩევნების შემაჯამებელი ოქმი და განკარგულება;*
3. *პედ. საბჭოს ოქმები;*
4. *მშობელთა კრების ოქმები;*
5. *სადამრიგებლო პროგრამები;*
6. *დამრიგებლის პორტფოლიო;*
7. *სკოლის პორტალი*
8. *სკოლის სოციალური გვერდი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

სკოლის მიერ უზრუნველყოფილია სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლისა და საჯარო სკოლას შერწყმული ჯრიის დაწყებითი სკოლის სასწავლო კორპუსის ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. რისთვისაც არსებობს - ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 27 ივნისი წერილი N8 2301830501) სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, ცეცხლმაქრებით და სახანძრო ინვენტარით. სკოლას აქვს 25 ტონიანი წყლის რეზერვუარი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის. ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. სკოლას დირექტორის ბრძანებით (**N1/კ-15**. 2026 წლის 16 სექტემბერი) განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი, ასევე 2 დარაჯი. დაცულია სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება.

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შესაბამისობის შესახებ და არსებობის აღმოფხვრის შესახებ , როგორც სოფელ პერევში მდებარე შენობისთვის, ასევე სოფელ ჯრიაში მდებარე შენობისთვისაც, მაგრამ სკოლამ წარმოადგინა მიწერილობები(16/02/2026-MES 8 26 0000166093)(17/04/2026-MES 0 26 0000449235) შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ორივე სოფლის სკოლის შენობების სასწავლო კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენისა და დასკვნის/რეკომენდაციების გაცემის მოთხოვნის მიზნით.

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას, პირველადი დახმარების საჭიროების შემთხვევაში სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც შეუძლია რეაგირება. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სკოლა ასევე უზრუნველყოფს : საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ფსიქოლოგიურად

და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლას 2025 წლის 22 სექტემბრის დირექტორის **ბრძანება N2-38-ით** დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომლითაც ხელმძღვანელობს პერსონალურ მონაცემებთან მუშაობის პროცესში. სკოლას 2025 წლის 16 სექტემბრის დირექტორის **ბრძანება N1-კ15**-ით დამტკიცებული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია სკოლაში გამართული ვიდეო მონიტორინგის სისტემა. ვიზიტის დროს სკოლამ აღნიშნა , რომ სკოლას არ აქვს ვიდეო სათვალთვალო სისტემა დამონტაჟებული და ელოდებიან საჭირო ინვენტარის მიღებას და ინსტალაციას. ამის გამო დასკვნის პროექტში გაიწერა ხარვეზი: .უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით სკოლის ორივე სასწავლო კორპუსისთვის, *როგორც ჯრიაში, ასევე პერევშიც, არ არის დამონტაჟებული ვიდეო მეთვალყურეობის სისტემები. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და აიღო ვალდებულებას,1 წლის განმავლობაში როგორც პერევის, ასევე ჯრიის სკოლაში ვიდეო -მეთვალყურეობის სისტემის სრულ გამართვასა და მონტაჟზე. (წერილი 09.03 2026 წლის MES 4 26 00002870) სკოლას მიეცა* ***რეკომენდაცია,*** *უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით სკოლის ორივე სასწავლო კორპუსისთვის, როგორც ჯრიაში, ასევე პერევშიც, დაამონტაჟოს ვიდეო მეთვალყურეობის სისტემები შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადამდე(25.05.2027წ).*

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლის შერწყმული ჯრიის დაწყებითი სკოლის ეზოს დიდი ნაწილი შემოღობილია. კაპიტალური ღობე არ აქვს ეზოს იმ ნაწილს, რომლითაც ის კერძო პირების სამოსახლოს ემიჯნება. აღნიშნული ღობე შედგება საფრთხის შემცველი მასალისგან, რომელიც ქმნის მოსწავლეთა ფიზიკურად დაზიანების საფრთხეს. ასევე სოფელ ჯრიაში მდებარე დაწყებითი სკოლის სასწავლო კორპუსის ეზოში არის დარჩენილი ძველი ამორტიზებული საპირფარეშოს მცირე ზომის შენობა და ძველი შენობის ნანგრევები, რომელიც უშუალოდ მდებარეობს სკოლის ეზოს შესასვლელში ცენტრალურ ადგილას. სკოლამ ექსპერტებისგან მიიღო **რჩევები:**

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სოფელ ჯრიაში მდებარე სკოლის ტერიტორია სრულად, უწყვეტად უნდა შემოიღობოს კაპიტალური ღობით.

ასევე, სკოლის ეზოში არსებული ძველი საპირფარეშოს შენობა უნდა დაიკეტოს ისე, რომ მოსწავლეებმა ვერ შეძლონ მასში შესვლა.

სკოლის ეზოში არსებულ ძველი შენობის საძირკველს უნდა გაუკეთდეს დემონტაჟი ყველა საჭირო პროცედურების დაცვით. ვიზიტის დასრულებამდე, სკოლამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით, წარმოადგინა მიწერილობა ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრთან ნომრით - MES 8 26 0000449341(17/04/2026), რომლითაც ის ითხოვს ფინანსურ დახმარებას დემონტაჟის პროცედურისთვის.

რაც შეეხება სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლის ძირითად შენობას, რომელიც მდებარეობს სოფელ პერევში, სკოლის ტერიტორია სრულად შემოღობილია კაპიტალური ღობით. სკოლის ეზოში მდებარეობს ფიზიკური საფრთხის შემცველი კონსტრუქცია, რომელიც არის ძველი შენობის ნანგრევები. მართალია, ეს ნანგრევები საკმაოდ დაშორებულია ძირითად შენობას, მაგრამ ფიზიკური უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია ამ შენობის ღობით გამიჯვნა სკოლის ეზოს ძირითადი ტერიტორიისგან. ამისთვის სკოლას მიეცა ***რჩევა: ფიზიკური უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია , რომ სოფელ პერევში, სკოლის ეზოში მდებარე ძველი შენობის ნანგრევები ღობით გაიმიჯნოს სკოლის ეზოს ძირითადი ტერიტორიისგან.***

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი, მაგრამ ***სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შეიმუშაოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობით.***

სოფელ პერევის საჯარო სკოლას 2014 წელს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, თუმცა სკოლას მაძიებლად რეგისტრაციის პერიოდში არ ჰქონდა სკოლის ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ამ მიზნით ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გაეგზავნა წერილი MES 0 26 0000131534(09.02.2026 .) ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 26/03/2026-ში მიღებული დასკვნა შენობის საინჟინრო ექსპერტიზისთვის. დასკვნის მიხედვით, შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შემდგომი ექსპლუატაციისთვის საფრთხეს არ შეიცავს.

დასკვნის პროექტის ეტაპისთვის, სოფელ ჯრიაში მდებარე სკოლის შენობისთვის გამოიკვეთა *ხარვეზი, რადგან არ ჰქონდათ სკოლის ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ დასკვნა სოფელ ჯრიაში მდებარე დაწყებითი საფეხურის შენობისთვის. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ შესაბამისობის გეგმით აიღო ვალდებულება, რომ აღნიშნულ საკითხს ერთი წლის პერიოდში მოაგვარებდა. ამის დასტურად სკოლამ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს სახელზე მოამზადა 25.03.2026 წლის # MES 0 26 0000356076 წერილი. შესაბამისად, სკოლას მიეცა* ***რეკომენდაცია,*** *სოფელ ჯრიაში მდებარე*

დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობისთვის მოიპოვოს, ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა, შესაბამისობის გეგმით გაწერილ პერიოდამდე (25.05.2027წ.)

3.4.1.1. ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. სკოლაში 119 მოსწავლეა. სკოლას ემსახურება ექთანი, რომელიც შეირჩა კონკურსის პირობების დაცვით და მუშაობა დაიწყო 2021 წლის 6 დეკემბრიდან და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა ექიმთან გასაუბრება. სკოლა იძენს საჭირო მედიკამენტებსა და რესურსს. სამედიცინო კაბინეტში დოკუმენტაციის წარმოება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად, გაკეთებულია შესაბამისი ჟურნალები. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

ინდიკატორი 3.4.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით აწვდის ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის, უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის, სამსახურებრივი ნომრების და აღნიშნული პირების/უწყებების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვაში ჩართულია, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი, ასევე სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი. სკოლის შესასვლელში, სასწავლო პროცესის დროს, მუდმივად არის სკოლის მორიგე თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ვიზიტორებს და აწარმოებს მათ აღრიცხვას. დერეფნებში მორიგეობენ მასწავლებლები.

ინდიკატორი 3.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, სადაც მოცემული რეგულაციები ხელს უწყობს სკოლის გარემო იყოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო საზოგადოებისათვის. საჯარო სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია. სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავს და თავადაც წარმოადგენს თანამშრომლობითი კულტურის განვითარების მაგალითს, რასაც ადასტურებს გადაწყვეტილებების არაერთპიროვნული მიღება.

ინდიკატორი 3.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი რეგულირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით და დირექტორის ბრძანების შესაბამისად (ბრძ N2-35 19.09). ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურება 2 დიასახლისი. სველ წერტილებში არის თხევადი საპონი, საპირფარეშოს ქაღალდი და ხელსახოცი, სკოლაში პერიოდულად ტარდება სადერატიზაციო სამუშაოები. ყველა სართულსა და დერეფნებში არის სანაგვე ურნები, რომელიც უზრუნველყოფს ჰიგინის დაცვას. სველი წესით იწმინდება დერეფნები. სკოლას აქვს წყლის დამატებითი რეზერვუარი, რომელიც გამოიყენება წყლის შეწყვეტისას, ან სახანძრო შემთხვევის დროს. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო. დიასახლისებთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილ ვადებულებებში იკვეთება, თუ სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის რა პროცედურები აქვს.

ინდიკატორი 3.4.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში პერსონალური მონაცემები მუშავდება მიზნის შესაბამისად და ინახება, იმ ვადით, რომ მიღწეული იყოს მისი დამუშავების მიზანი. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიღწევების, სერტიფიკატების, ფოტოების, ნამუშევრების და ა.შ გასაჯაროებისთვის (საჭიროების შემთხვევაში) სკოლა წინასწარ უთანხმდება მოსწავლეს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს.

საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-38; 2025 წლის 22 სექტემბერი) სკოლამ დაამტკიცა „პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი“ , რომლის მიხედვითაც სკოლის მონაცემთა დაცვის

მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები ჩამოაყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.

ინდიკატორი 3.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლაში არის უწყვეტი ინტერნეტი. მასწავლებლები და მოსწავლეები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს, ხოლო მოსწავლეები student.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. მონაცემების დაცვის მიზნით სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა, რომელიც ლიცენზირებულია. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით, კიბერუსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში, საუბრები იმართება მშობლებთანაც.

ინდიკატორი 3.4.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებთან დაკავშირებით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ყოველწლიურად 10 დეკემბრისთვის სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის უსაფრთხოების შესახებ. ანგარიშის ანალიზის შედეგად იგეგმება მომავალი საქმიანობები სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

ინდიკატორი 3.4.1.8. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება

დანართი 2.ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი
დანართი 3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
დანართი 4. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი
დანართი 5. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
დანართი 6 საგანგებო მართვის გეგმა (შეთანხმებული) ;
დანართი 7. ექთნის დანიშვნის ბრძანება;
დანართი 8.სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა
დანართი 9. სკოლის ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ დასკვნა,პერევის საჯარო სკოლა
დანართი 10. სკოლის ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ დასკვნა,ჯრიის საჯარო სკოლა
დანართი 11.შესაბამისობის გეგმა სკოლის ტექნიკურიუსაფრთხოების შესახებ.
დირექტორის ყოველწლიური ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლაში ამ დროისთვის სწავლობს 119 მოსწავლე. სკოლა არის კეთილმოწყობილი, აშენდა 1994 წელს და 2014 წელს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. სკოლას აქვს დაახლოებით 6920 კვ.მ. ეზო, რომელიც არის შემოღობილი, სკოლას ასევე აქვს რეკრეაციული სივრცე, რომელსაც მოსწავლეები და სკოლის მეეზოვეები უვლიან.

სკოლა საკუთარი ბიუჯეტით ცდილობს ყოველწლიურად მცირე კოსმეტიკური რემონტის გაკეთებას საკლასო ოთახებისთვის. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სპორტული და სააქტო დარბაზები) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებებზე სრულფასოვანი განტვირთვა. სკოლაში ყოველ მოსწავლეზე გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, საკლასო ოთახებში განთავსებულია მინიმუმ 1 დაფა, სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს-ოთახი, სამედიცინო კაბინეტი. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი ასევე გარე სპორტული მოედანი, რომელიც ამ დროისთვის არ არის კეთილმოწყობილი. სკოლაში არსებული კომპიუტერების საერთო რაოდენობა არის 31 ცალი, აქედან 18 მუშა მდგომარეობაში. 9 კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 5 პერსონალური კომპიუტერი, 1 პერსონალური კომპიუტერი განთავსებულია რესურს-ოთახში. სკოლის პირველ სართულზე განლაგებულია საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, დირექტორისა და ადმინისტრაციის კაბინეტები, სპორტული დარბაზი, ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები, (მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილები ინდივიდუალური შესასვლელით) პერსონალის საპირფარეშოები, დარაჯის ოთახი, კვების ბლოკისათვის გამოყოფილი სივრცე. სკოლის მეორე სართულზე განლაგებულია: სველი წერტილები, ბიბლოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახები. ბიოლოგიისა და ქიმიის ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და საკლასო ოთახები. ბიოლოგიის და ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიების ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს, ასევე მინიმალურ დონეზე აქვთ საჭირო რესურსები (ლაბორატორიული ჭურჭელი და პალაკატები), რაც ცხადია, საკმარისი არ არის სრულფასოვნად აღნიშნული საგნების სწავლებისათვის.

დასკვნის პროექტით სკოლას განესაზღვრა ხარვეზი, რადგან სკოლა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს, სკოლას არ აქვს საბუნებუსმეტყველო ლაბორატორია. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ შემდეგი არგუმენტით დაასაბუთა საკითხის მოგვარება :“ სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლამ საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის სახელზე გააგზავნა წერილი 17/04/2026 MES 4 26 0000449284 ლაბორატორიის აღჭურვის მხარდაჭერის მიზნით. ამასთანავე, განათლების სამინისტრო 1000 საჯარო სკოლისათვის ყიდულობს ლაბორატორიებს და ელექტროინჟინერიის კომპლექტებს. მათ შორის პერევის საჯარო სკოლაცაა ამ სიაში.“

აღნიშნულზე დაყრდნობით, სკოლამ საკითხის მოსაგვარებლად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა პერიოდი 25.05.2027 წ-მდე.

*სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, რომ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადამდე(25.05.2027-წ)*

საკლასო ოთახებში მერხები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით. ვიზუალური დათვალიერებისას ყველა საკლასო ოთახში განლაგებული იყო კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხები. სკოლა კაპიტალური ღობით შემოსაზღვრულია პრაქტიკულად მთელ ფართობზე. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით **250 მოსწავლეზე.**

ინდიკატორი 3.5.1.1. ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია დაფა, სათავსო-კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა... ეს ყველაფერი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შიდა და გარე სპორტული მოედნები მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია და საშუალებას იძლევა საინტერესო ფორმალური და არაფორმალური, კლუბური და საწრეო მუშაობა განხორციელდეს სკოლაში. სკოლას დამტკიცებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობის წესები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე. სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები. სკოლას აქვს ფართო და ნათლი დერეფნები; სკოლამ მიმდინარე წელს დაიწყო სკოლის ფოიეებსა და ეზოში სივრცეების მოწყობა შესვენებებზე მოსწავლეთა სრულფასოვანი განტვირთვისთვის. სკოლაში არის სივრცე კვების ობიექტისთვის, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით (ე.წ. სასადილოს მაგიდები, სკამები, სველი წერტილი ცხელი და ცივი წყლით)

3.5.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რაც ნებისმიერი დაინტერესებული მოსწავლე-მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 4827 წიგნი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის სახით. ასევე წარმოდგენილია მეთოდური ლიტერატურაც. წიგნადი ფონდის უდიდესი ნაწილი დამუშავებულია ელექტრონულად და შეტანილია ელექტრონულ ბაზებში, აღრიცხულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესის შესაბამისად, გაკეთებულია კარტოთეკები, ხდება წიგნადი ფონდის მოძრაობის აღრიცხვა-გატარება შესაბამის ჟურნალში. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესები.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია ტექნიკით: 1 კომპიუტერი ბიბლიოთეკარის საქმიანობისათვის, ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ბიბლიოთეკას სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტებისათვის. ბიბლიოთეკარი ჩართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებების კეთების მხარდაჭერის პროცესში. შთამბეჭდავია ბიბლიოთეკარის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლის ბიბლიოთეკარი აქტიურად იყო ჩართული არაფორმალური განათლების აქტივობებში.

ინდიკატორი 3.5.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. ამ დროისათვის სკოლას არ ჰყავს შშმ პირი, თუმცა სკოლის შენობას აქვს პანდუსი. სამედიცინო ოთახი, სპორტული დარბაზი და ადაპტირებული სველი წერტილები არის განთავსებული სკოლის შენობის პირველ სართულზე. ხოლო კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი, ბიბიოთეკა განთავსებულია მეორე სართულზე. ყველა საკლასო ოთახი დანომრილია, გამოკრულია გაკვეთილების განრიგი. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსები, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები, მათემატიკური მანიპულატივები. მითითებულია ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, სპორტული დარბაზის აბრები, ასევე საპირფარეშოების ნიშნულები. იმისთვის, რომ სკოლამ სრულფასოვნად შეძლოს შშმ პირთათვის სასწავლო გარემოს ადაპტირება, აუცილებელია ლიფტი, ან პანდუსი მეორე სართულზე გადასაადგილებლად.

<u>დასკვნის პროექტის შედგენის ეტაპისთვის გამოიკვეთა ხარვეზი: სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის არცერთ შენობას(პერევი,ჯრია) არ აქვს პანდუსი, ლიფტი. სკოლამ შესაბამისობის გეგმით აიღო ვალდებულება, საკუთარი ძალებით, 2027 წლის 25 ივლისამდე მოაგვაროს აღნიშნული პრობლემა. შესაბამისად, გაიწერა რეკომენდაცია:</u>

ინდიკატორი 3.5.1.4. ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას აქვს შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ორი სპორტული დარბაზი ყველა საჭირო რესურსით, ბიბლიოთეკა, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში ტარდება სხვადასხვა

სახის აქტივობები, შეხვედრები თემთან, სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლა მნიშვნელოვანი ეპიცენტრია მაღალმთიანი დასახლებისთვის.

ბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებას ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებაში. სკოლის ბიბლიოთეკარი 34 ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის ბიბლიოთეკარი პედაგოგებთან ერთად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-შემეცნებით აქტივობებს სასკოლო საზოგადოებისათვის. სპორტულ დარბაზში იმართება სასკოლო თუ რაიონული შეჯიბრებები და ჩემპიონატები. სპორტულ დარბაზში აქტიურად ვარჯიშობენ სკოლის ფრენბურთელ ვაჟთა და გოგონათა გუნდები, სპორტის მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ, გაკვეთილების დაწყებამდე და გაკვეთილების დასრულების შემდეგ საბუნებისმეტყველო კაბინეტში არის სივრცე, სადაც გაკვეთილების გარდა ფუნქციონირებს და მუშაობს სკოლის STEM კლუბი.

ინდიკატორი 3.5.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლის 2025 – 2026 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა;*
2. *დანართი 1.სკოლის აზომვითი ნახაზები;*
3. *დანართი 2.ბიბლოთეკით სარგებლობის წესი;*
4. *დანართი 3. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
5. *დანართი 4.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
6. *დანართი 5 საევაკუაციო გეგმები;*
7. *მერხების, ტექნიკის, ავეჯის, რესურსების მიღება-ჩაბარებების ამსახველი დოკუმენტაცია;*
8. *ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;*
9. *ბრძანება მატერიალური რესურსით სარგებლობის წესის შესახებ და წესი;*
10. *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები;*
11. *სკოლის ვიზუალური დათვალიერება;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ადმინისტრაციის, სამასწავლებლოს სივრცეებში განთავსებულია პორტაბელური კომპიუტერები და პრინტერები სკოლაში, ბალანსზე არსებულია კომპიუტერული ტექნიკა-31, აქედან 18 მუშა მდგომარეობაში. 4 პროექტორი, 3 შავ-თეთრი პრინტერი და ერთი ფერადი. 2 პროექტორი. ამის გარდა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებსა და კლასის დამრიგებლებს გადაეცემათ ბუკები. ციფრული ტექნიკა და ინფრასტრუქტურა სრულიად საკმარია სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის. სკოლის სივრცე არ არის დაფარულია Wifi ქსელით. შესაძლებელია ინტერნეტით სარგებლობა მხოლოდ საკაბელო ქსელით კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სამასწავლებლოსა და საქმისმწარმოებლის ოთახებში.
ინტერნეტით სარგებლობის დროს მოსწავლე დაცულია არასანდო პლატფორმებზე წვდომისაგან. სიახლეები მუდმივად თავსდება სკოლის სოციალურ გვერდზე. მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. სკოლა იყენებს facebook-ის, Temas-ის პლატფორმას მშობლებთან, მასწავლებლებსა და ადმინსტრაციას შორის სწრაფი კომუნიკაციისათვის. მშობელს შეუძლია ასევე, მიმართოს ან გაუგზავნოს შეკითხვა სკოლას ოფიციალურ მეილზე.

ინდიკატორი 3.6.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და სკოლის პერსონალისთვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის განკუთვნილ საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს სკოლის ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია 1 მუშა მდგომარეობაში მყოფი სამაგიდო კომპიუტერი, შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის

გრაფიკი. საგაკვეთილო პროცესის შემდეგ 17:00 საათამდე აღნიშნული სივრცით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობით. ადმინისტრაციასთან გასაუბრებითაც ირკვევა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია ასევე მოსწავლეებისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია, ტექნოლოგიების ლაბორატორია მუშაობს ტესტირებების, ოლიმპიადების, ექსტერნების გამოცდებთან დაკავშირებით წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. გამოყოფილია ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი. მასწავლებლეთა საზიარო სამუშაო სივრცეც კომპიუტერული ლაბორატორიაა, თუმცა კომპიუტერითა და პრინტერით მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამასწავლებლოშიც. ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახი.

ინდიკატორი 3.6.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დაგეგმილ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარებები ციფრული ტექნიკის შესახებ;*
2. *ელექტრონული ჟურნალი: https://onlineschool.emis.ge/auth*
3. *სკოლის პორტალი:*
4. *სკოლის სოც. გვერდი:*
5. *ტექნიკის, ინვენტარის მიღება-ჩაბარებები;*
6. *სკოლის ინფრატრუქტურის ვიზუალური დათვალიერებ*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში დანერგილია და პრაქტიკაში მუშაობს საქმისწარმოების ღია, მოქნილი და მოსწავლეზე ორიენტირებული სისტემა. სკოლას აქვს დირექტორის 2025 წლის 16 სექტემბერი N1/კ-14 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც ახდენს განცხადებების, წერილების და თანდართული დოკუმენტაციის მიღებას და რეაგირებას. სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული განცხადებების/წერილების ჟურნალს მატერიალური სახითაც. მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით. გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და აღნიშნული წესის დაცვით. სკოლა უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას,

გამოყენებას და შენახვას. საქმისწარმოების მიზანია სკოლაში დოკუმენტაციისა და დოკუმენტბრუნვის სრულყოფა. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია, შიდა დოკუმენტაცია. საქმისწარმოების პროცესში გამოყენებული ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი ორი ფორმისაა: ელექტრონული და მატერიალური, ხოლო შემოსული და გასული დოკუმენტაცია, მხოლოდ ელექტრონული. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ძირეულ საქმიანობას სკოლაში ახორციელებს საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი 3.6.2.1. სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლას აქვს შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ორი სპორტული დარბაზი ყველა საჭირო რესურსით, ბიბლიოთეკა, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, შეხვედრები თემთან, სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლა მნიშვნელოვანი ეპიცენტრია დასახლებისთვის

ინდიკატორი 3.6.2.2. სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი.

ინდიკატორი 3.6.2.3. სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კანონის შესაბამისად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და ახორციელებს უკუკავშირს. სკოლა ანგარიშგების პროცედურებს აწარმოებს კანონმდებლობის ფარგლებში, როგორც სკოლის შიდა სტრუქტურებს შორის,

ასევე სკოლის გარეთ. კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ყოველწლიურად სკოლის დირექტორი წარუდგენს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს, ასევე ინფორმაციას გაცემული ინფორმაციის შესახებ წარუდგენს საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, პრემიერ მინისტრს. სკოლა მუდმივად ცდილობს შემოსულ წერილებში მოთხოვნილი ინფორმაცია საჭირო დროის დაცვით გადაეგზავნოს ადრესატებს

ინდიკატორი 3.6.2.4. სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლის 2025 – 2026 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა;*
2. *დანართი 1.საქმისწარმოების წესი;*
3. *დანართი 2. ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;*
4. *დანართი 3. თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების ჟურნალი;*
5. *დანართი 4. დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოს;*
6. *დანართი 5. კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალები;*
7. *დანართი 6. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გაზა.*
8. *მერხების, ტექნიკის, ავეჯის, რესურსების მიღება-ჩაბარებების ამსახველი დოკუმენტაცია;*
9. *ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;*
10. *გრძანება მატერიალური რესურსით სარგებლობის წესის შესახებ და წესი;*
11. *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები;*
12. *სკოლის ვიზუალური დათვალიერება;*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის ელექტრონული ფოსტის perevi@mes.gov.ge სკოლის ვებ. გვერდისა და ფეისბუქ გვერდის, სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. ამავე მიზნით ასევე აქტიურად იყენებს სკოლა ელექტრონულ ჟურნალს, „თიმსის" საგანმანათლებლო პლატფორმას, სოციალურ ქსელს, რომელიც მეტად აქტუალურია მშობლებთან საკომუნიკაციოდ.

ინდიკატორი 3.6.3.1. სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow - ს საშუალებით. აღირიცხება შემოსული, გასული კორესპოდენციები და დირექტორის გამოცემული ბრძანებები. ამის გარდა სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა perevi@mes.gov.ge სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით.

ინდიკატორი 3.6.3.2. სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საჯარო სკოლის დირექცია/პედაგოგები უკუკავშირს იღებენ მეილის, eflow, teams საგანმანათლებლო პლათფორმის, სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. უკუკავშირის მიღება ასევე ხდება უშუალო შეხვედრები, მშობელთა კრებების დროს.

ინდიკატორი 3.6.3.3. სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც ჩაშენებულია სკოლების ერთიან საინფორმაციო პორტალზე, რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლაში სწავლების ენა არის ქართული და ინფორმაცია სკოლის ვებ. გვერდზე ქვეყნდება ქართულ ენაზე. სკოლას აქვს სოციალური ქსელი (Facebook). სოციალური ქსელის არხი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი 3.6.3.4. ინდიკატორი დკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ. გვერდზე განთავსებულია ყველა ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის მიერ. ასევე სასწავლო პროცესის სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.

ინდიკატორი 3.6.3.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. მშობლებთან კომუნიკაციის დებულება;

დანართი 2. სკოლის ვებ. გვერდი სკოლის fb გვერდი

დანართი 3. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

დანართი 4. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ამსახველი სქრინები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საჯარო სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, სადაც აღნიშნულია თუ რა რესურსით აპირებს სკოლა დაგეგმილი აქტივობების შესრულებას, თუმცა მათი უმრავლესობა არ საჭიროებს დიდ ფინანსურ ხარჯს. სკოლა ფინანსურად მეტ-ნაკლებად მდგრადია და აქვს შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს სკოლის საჭიროებები, აღჭურვოს იმ რესურსით, რაც აუცილებელია სკოლის განვითარებისა და დასახული მიზნების მისაღწევად. სკოლას აქვს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის პრაქტიკა. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები და სავარაუდო ხარჯები, რომელიც მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, კომუნალურ გადასახადებს და სკოლის განვითრებისთვის საჭირო ფინანასურ სახსრებს.

ინდიკატორი 3.7.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლა თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. წლის ბოლოს მტკიცდება მომდევნო წლის ბიუჯეტი, რომელიც დაგეგმილია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ხარჯვით ნაწილში დაგეგმვა ხდება მონიტორინგის საფუძველზე, რაც მოიცავს კათედრების, ბიბლიოთეკარის, ტექნიკური პერსონალის ჩართულობას. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გასული წლების გამოცდილება შესყიდვების მიმართულებით. შემოსავლების ნაწილში გაითვალისწინება როგორც ვაუჩერული დაფინანსება (მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენობის მიხედვით), ისე ეკონომიკური საქმიანობიდან (იჯარიდან) მისაღები სავარაუდო შემოსავლები. წლის ბოლოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლა მუშაობს SPA.ge ზე საკუთარი პორტალით, სადაც ატვირთულია შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმა შემუშავდება პასუხისმგებელი პირის მიერ გაწეული ბაზრის კვლევის გათვალისწინებით. ბაზრის კვლევაზე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. შესყიდვების გეგმის პორტალზე ატვირთვა ხდება შესყიდვების კოორდინატორის მიერ. შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია შესასყიდი საქონლის ან მომსახურების CPV

კოდებზე თანხის ცვლილების ან გაუთვალისწინებელი შესასყიდი საქონლის CPV კოდის დამატებით. ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე კორექტირება შეაქვთ შესყიდვების გეგმაში.

ინდიკატორი 3.7.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *დანართი 1. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე და 2026 წლის ბიუჯეტი;*
2. *დანართი 2. 2026 წლის შესყიდვების გეგმა;*
3. *დანართი 3. შესყიდვების გეგმის ატვირთვაზე პასუხისმგებელი პირიდ განსაზღვრის ბრძანება;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესის დოკუმენტი, რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და **2025 წლის 8** სექტემბერს დამტკიცებულია N3 სამეურვეო საბჭოს სხდომის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი აგრეთვე გამოკრულია სკოლის ფოიეში. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლაში არსებობს: სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სკოლას ასევე ჰყავს ექთანი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. სკოლაში მოქმედებს რამდენიმე დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა: შინაგანაწესი - შინაგანაწესის მე-19 მუხლი ეხება მოსწავლის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების წესს, სადაც დაწვრილების არის გაწერილი დისციპლინური საქმისწარმოების დროს როგორ არის მოსწავლის უფლებები დაცული, რომ არ მოხდეს მისი ღირსების შელახვა და სასწავლო პროცესისგან ჩამორჩენა. მოსწავლის, პესონალის, მშობლის/ კანონიერის წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცისა და გასაჩივრების მექანიზმი - აღნიშნულ დოკუნენტის მიხედვიღ, გაწერილია მოსწავლისა და მისი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები შინაგანაწესთან, სასკოლო სასწავლო გეგმასთან და ზოგადად , სხვა სასკოლო დოკუმენტებთან და სკოლაში მიმდინარე
პროცესებთან მიმართებაში. დოკუმენტის მე-6 მუხლში გაწეილია მისწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან მათი უფლებების გასაჩივრების პროცედურები. სასკოლო სასწავლო გეგმა - რომლის ერთი თავი ეხება მოსწავლის უფლებების დაცვას. ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების დოკუმენტი - აღნიშნული არეგულირებს სკოლის ვალდებულებებს, რათა მოსწავლისთვის შექმნას ისეთი გარეო , სადაც დაცულია ბავშვის უფლებები და გათვალისწინებული მისი საუკეთესო ინტერესები. ასევე, აღწერს სკოლის ვალდებულებას, შეუქმნას მოსწავლეს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. პერსონალური მონაცემების დაცვის წესი - აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მოსწავლის პერსონალური მონაცემის დაცვას ელექტრონულ ჟურნალში, TEAMS-ის პლათფორმაზე, ვიდეოთვალთვალის , აუდიო მონიტორინგის , პირადი საქმეებისა და ელექტრონული ბაზების დამუშავების დროს. მე-6 თავში დაწვრილებით არის გაწერილი არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება.
სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინარებულ მოქმედებას; სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსათვის საფრთხის შექმნაზე რეაგირებას.

1.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით. მოსწავლის უფლებების დაცვის სადარაჯოზე დგას დისციპლინური კომიტეტი, რომელიც კანონის ფარგლებში უზრუნველყობს სკოლაში არსებული ნებისმიერი წესის, კანონის დარღვევის განხილვისა და მსვლელობის პროცესს.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალეა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია.

4.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ფორმდება კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულება, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება სკოლაში, მეორე კი - გადაეცემა მშობელს. ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება მოვალეობები, ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უწყდება სტატუსი, ან გადადის სასწავლებლად სხვა სკოლაში, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ავტომატურად წყდება. სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან მოხდა მოსწავლეთა პირადი საქმეების დეტალურად შესწავლა. პირად საქმეებში სრულად იყო წარმოდგენილი მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული კანონის შესაბამისი ხელშეკრულებები. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.

4.1.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *შინაგანაწესი;*
2. *სასკოლო სასწავლო გეგმა;*

3. *ერსონალური მონაცემების დაცვის წესი;*
4. *სკოლის fb -გვერდი;*
5. *მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენელის უფლებებისა და გასაჩივრების მაქანიზმი;*
6. *მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება საწავლო პროცესის შესახებ (დაწყებით, საბაზო*
7. *და საშუალო საფეხურზე);*
8. *დანართი 7.მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოების გადაცემის შესახებ (*
9. *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე);*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანება განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის წესსა და პირობებს. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს საფეხურის დაძლევის წესს; ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანება კი - მოსწავლის მობილობის წესს. აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის ბრძანება 2- 40 (23/09/2025 წელი) დოკუმენტად აქვს დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.სადაც დეტალურადაა გაწერილი შემდეგი საკითხები:

- პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა;
- პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაცია;
- პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა;
- მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა;
- სკოლაში (გარდა პირველი კლასისა) მოსწავლეთა ჩარიცხვა;

- კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა;
- (გარდა პირველი კლასისა) დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში, მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა;
- უცხოეთში გარკვეული კლასის/კლასების ზოგადი განათლების მიმღები მოსწავლის ჩარიცხვა;
- მოსწავლის სტატუსის შეჩერება;
- მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა;
- მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა;
- პასუხისმგებლობა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე;
- მობილობის უფლების მქონე პირი;
- მობილობა;
- მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები;
- პასუხისმგებლობა მობილობაზე;

4.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა შემუშავებული დოკუმენტისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ვადების დაცვით ახორციელებს და იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში იყო მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების ორი შემთხვევა (ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა საზღვარგარეთ). მშობელმა სკოლას მიმართა განცხადებით და მოითხოვა სტატუსის შეჩერება. ამ განცხადების საფუძველზე დირექტორის მხრიდან ბრძანებით მოხდა სტატუსის შეჩერება, რაც შემდგომ აისახა eSchool-ის ბაზაში. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტით, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. თუ მოსწავლე გადმოდის მობილობით, ასეთ შემთხვევაში მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას და იღებს მისგან დასტურს, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის ჩარიცხვა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლეს კლასი და საფეხური დაძლეულად

ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5 და მეტი ქულა. სკოლა ყოველთვის იცავს მოსწავლის ჩარიცხვის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

4.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ამ ეტაპისთვის, სკოლა არ ახორციელებს რაიმე სახის ფასიან მომსახურებას, პროგრამებს.
სოციალური ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სკოლას სხვადასხვა დოკუმენტის სახით აქვს გაწერილი წლის მანძილზე შესასრულებელი აქტივობებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი/გეგმა, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას წინასწარ განისაზღვროს მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევები, შედეგები და შესაბამის ქცევაზე რეაგირების ფორმები.
წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

4.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მშობელთან ურთიერთობის წესები. დირექტორის ბრძანებით დანიშნულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით, თვალსაჩინო ადგილას განათავსებს საჭირო ინფორმაციას. სკოლის სამეურვეო საბჭო, დირექცია და დისციპლინური კომიტეტი აქტიურად დგას სკოლის უსაფრთხოების სადარაჯოზე იმისათვის, რომ სკოლის, ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების და რესურსების შესახებ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
სკოლის სოციალური ქსელით პერსონალის, ან მასწავლებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ, არის თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. მოსწავლეთა teams-ისა დახურული ჯგუფები, რომლებიც ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთი საშუალებაა. სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობები არის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.

4.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“

დანართი 2.მშობელთა კრების ოქმი

დანართი 3.სკოლის fb გვერდი;

დანართი 4.სასკოლო სასწავლო გეგმა

დანართი 5. მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და 2025 წლის 23 სექტემბრის დირექტორის **ბრძანება N 2-41ა**-ით დამტკიცებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტი, რომელშიც რეკომენდაციის სახით გაწერილია ნაბიჯები მშობლების და მასწავლებლების მხრიდან, იმისათვის რომ ადვილად მოხდეს მოსწავლის შეგუება ახალ გარემოსთან. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს უმტკივნეულოდ შეერწყას სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;

წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პროცედურებს პირველ დღეებში. ასევე წარმატებული ადაპტაციის ნიშნებიც არის განსაზღვრული და გაწერილია რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისთვის. დოკუმენტში ვხვდებით გაწერილ დეადაპტაციის ნიშნებს და დეადაპტაციის პროცესის განსახორციელებელ ღონისძიებებს.

4.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკს საკლასო გარემოს მოწყობისას. მაგალითად, ავეჯის შესაბამისობა ასაკთან, სივრცე მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე. სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სკოლა იწვევს პირველკლასელ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მასწავლებლებისა და გარემოს გასაცნობად. დამრიგებელს სადამრიგებლო პროგრამით გაწერილი აქვს ახალ მოსწავლეებზე მუდმივი მზრუნველობა. პირველკლასელებს აქვთ საშუალება დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს, ტრადიციულად, სკოლას აქვს გახსნის ღონისძიება, რაც მოსწავლეებსა და მათ მშობლებს უქმნის შესაბამის განწყობას. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დამრიგებელი მოსწავლეების ერთმანეთის არაფორმალურ გარემოში შეხვედრის მიზნით გეგმავს და ახორციელებს ექსკურსიებსა და ლაშქრობებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის კომუნიკაციისა და მეგობრობის გაღრმავებას.

4.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დირექციასთან , სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, მოსწავლეები და მათი მშობლები ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით იგებენ შეფასებას. დაინტერესებული მშობლები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლასთან, ინდივიდუალურად ხვდებიან საგნის მასწავლებლებს და მათგან იღებენ საჭირო ინფორმაციას. კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. სკოლის ძირითადი დოკუმენტი, რომლიც ხელს უწყობს მოსწავლეებს სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში არის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის განუყოფელი

ნაწილია თითოეული საგნის კურიკულუმი, რომლებშიც თავის მხრივ გაწერილია ის შუალედური მიზნები, რომლთა საშუალებითაც ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების შეფასება სტანდარტთან მიმართებაში.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი შეფასების სისტემა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება - გაუმჯობესებას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების საფუძველს წარმოადგენს.

4.2.1.3ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე ახდენს სკოლის შინაგანაწესის, უფლებების და მოვალეობების გაცნობას.

სკოლის მიერ შემუშავებული სხვადასხვა დოკუმენტი (საქმისწარმოების წესი, შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის წესი), უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაციული წარმოების გამართულ ფუნქციონირებას. ამასთან, იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლეს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს, რაც დასტურდება eflow-ს გადამოწმებით.

ასევე აცნობებენ, რომ შეუძლიათ ნიშნის ამაღლება, კლასის ან საფეხურის ექსტერნის წესით დასრულება, აცნობენ საგამოცდო ვადებს, იციან, რომ ეს მხარდაჭერა გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლის მიერ მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მშობლებთან ურთიერთობის წესში. ყოველივე ეს ეცნობა სასკოლო საზოგადოებას შეხვედრებზე ან სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს საზოგადოებასთან კომუნიკაციების წესის მიხედვით.

4.2.1.4ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის თითშეფასების დოკუმენტის გაცნობით, სკოლის სოციალური ქსელის პროფილის შესწავლით, დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტაციითა და სკოლაში ადგილზე ვიზიტით ნანახი

მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების წახალისებას და დამატებითი ღონისძიებების მხარდაჭერას. ასევე მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები, რაზედაც მიუთითებს სკოლაში არსებული მრავალფეროვანი შემეცნებითი, სასწავლო კლუბების არსებობა. ასევე, მოსწავლეებს რესურსების დასამზადებლად და შესანახად აქვთ გამოყოფილი გალერეა-ოთახი , სადაც მუშაობენ, ინახავენ გამოსაფენად თავიანთ ნამუშევრებს და უფრთხილდებიან საგულდაგულოდ.

სკოლაში ფუნქციონირებს არაერთი კლუბი და ხორციელდება სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. არაფორმალური განათლების დანერგვის პროცესში თანამშრომლობა ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა სკოლებთან. სკოლას ჰყავს აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის წევრებიც თავად არიან კლუბების შექმნისა და პროექტების დაგეგმვა- განხორციელების ინიციატორები.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები:

- ეკო კლუბი
- STEM კლუბი;
- ინგლისური ენის კლუბი;

აღნიშნული კლუბებში მოსწავლები წევრიანდებიან ინტერესების მიხედვით. კლუბებს აქვთ თავიანთი fb გვერდები, სადაც მუდმივად განახლებად რეჟიმში იდება ინფორმაცია მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტისა თუ აქტივობის შესახებ. სკოლაში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სკოლის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისა. მაგ. სკოლა აქტიურად მონაწილეობს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში, სკოლის სპორტულ დარბაზში იმართება სასკოლო თუ რაიონული შეჯიბრებები და ჩემპიონატები. სკოლამ 105 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოაწყო შემოქმედებითი საღამო, სადაც მოწვეული იყვნენ წარმატებული კურსდამთავრებულები, საზოგადო მოღვაწეები და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო სკოლის ევოლუციის ჩვენება სამი ისტორიული შენობისა და შესაბამისი პერიოდების ჭრილში. ეს იყო ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ უპასუხა სკოლამ სხვადასხვა საუკუნის გამოწვევებს. სკოლა, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივის ფარგლებში, ახორციელებს „STEAM განათლების“ მხარდაჭერის პროგრამას. პროგრამის მიზანია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, ტექნოლოგიური წიგნიერებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. პროგრამა უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის არაფორმალური განათლების სივრცის შექმნას, სადაც თეორიული ცოდნა (ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა) დაკავშირებული იქნება პრაქტიკულ, ტექნოლოგიურ გადაწყვეტებთან. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს სკოლის გადამზადებული პერსონალი. კერძოდ, ბიოლოგიის მასწავლებელმა წარმატებით გაიარა სამინისტროს მიერ ორგანიზებული მრავალეტაპიანი შესარჩევი ტური: ვებინარების ციკლი და ტესტირება: 800 მასწავლებელს შორის საუკეთესო რეიტინგი მოიპოვა. პრაქტიკული ბანაკი: STEAM კლუბების მართვისა და პროექტული სწავლების მეთოდოლოგიის დაუფლება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სკოლის STEAM კლუბი სრულად იქნება აღჭურვილი სამინისტროს მიერ გადმოცემული სპეციალიზებული ნაკრებებით, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს: იმუშავონ რობოტოტექნიკაზე; ჩაატარონ ლაბორატორიული კვლევები; შექმნან ინოვაციური მოდელები. სკოლის გარემოს

კეთილმოწყობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, დაწესებულებამ დაამყარა მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „რეგიონული განვითარების მხარდაჭერის ცენტრი“. სკოლას გადაეცა მრავალწლოვანი ხეების ნერგები . აქტივობის ფარგლებში ნერგების ნაწილი დაირგო სკოლის ეზოში, რაც მიზნად ისახავდა სასკოლო გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამწვანებული სივრცის გაფართოებას და მოსწავლეებში გარემოზე ზრუნვის კულტურის ჩამოყალიბებას. ნერგების მეორე ნაწილი დაირგო სკოლამდე მისასვლელ ფერდობზე, რომელიც ხასიათდებოდა ქვათაცვენის მომატებული რისკით. აღნიშნული ქმედება მიმართული იყო ფერდობის სტაბილიზაციის ხელშეწყობისკენ, ეროზიული პროცესების შემცირებისა და ტერიტორიის უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ. აქტივობამ ხელი შეუწყო, როგორც გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების პრაქტიკულ რეალიზაციას, ისე ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ადგილობრივი გარემოს განვითარების პროცესებში მათი აქტიური ჩართულობის გაძლიერებას. სკოლას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის საჯარო სკოლასთან და სპეთის საჯარო სკოლასთან, რაც, მიზნად ისახავს საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა გასვლითი სამუშაო შეხვედრა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელ ერგნეთში. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეებმა ჩაატარეს ინტერვიუები ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც ემსახურებოდა რეგიონის წინაშე არსებული სოციალურ, საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული პრობლემების იდენტიფიცირებას. შეხვედრის მიმდინარეობისას განხილულ იქნა არსებული გამოწვევები, მოსახლეობის საჭიროებები და შესაძლო მხარდამჭერი მექანიზმები, რაც მომავალში ერთობლივი საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი პროექტების დაგეგმვის საფუძვლად განისაზღვრება.“

4.2.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სკოლა მიმდინარე პროცესების შესახებ უკუკავშირს იღებს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმითაც. სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით ზეპირი უკუკავშირის მომცემები ძირითადად არიან მშობლები და რიგ შემთხვევაში მოსწავლეებიც. წერილობით ინიციატივებს ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობა. 2025-2026 სასწ. წელს კომპიუტერულ ლაბორატორიას ახალი ტექნიკა დაემატა. აღნიშნული ინიციატივა მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობითა და მათი ოფიციალური მიმართვის საფუძველზე განხორციელდა. მოსწავლეები აქტიურად არიან ასევე ჩართულები გაკვეთილზე მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავებაში, მაგალითად მე-6 კლასში განხორცელდა პროექტი ,,ქცევის წესები ცუფრულ და სასკოლო გარემოში“ მოსწავლეებმა გააცნობიერეს ქცევის წესების მნიშვნელობა როგორც სასკოლო, ასევე ციფრულ გარემოში; შეძლეს სწორი და არასწორი ქცევის გარჩევა და ამ ცოდნის ვიზუალურად (პოსტერის სახით) წარმოდგენა.

4.2.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი 1. მოსწავლის ადაპტაციის წესი;
დანართი 2. სასკოლო სასწავლო გეგმა - კურიკულუმები,
დანართი 3. პროექტები;
დანართი 4 . საქმისწარმოების წესი;
დანართი 5. მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები;
დანართი 6. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
დანართი 7. განაცხადი,წესდება, კლუბების შექმნაზე, კლუბების fb გვერდები;
დანართი 8. სკოლის fb, ვებ გვერდები;
დანართი 9. ღონისძიების რეფლექსია.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მიმართულებაა პროფესიული განათლების დანერგვა/განვითარება; სპორტის მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად განახორციელა პროექტი: „აღმოაჩინე შენი მომავალი“ "გახდი ის, ვინც გინდა, რომ იყო." მსგავსი ტიპის პროექტები მოსწავლეებს ეხმარება პროფესიის შერჩევაში. სკოლას აქვს კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება. სკოლა აპირებს მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები პროფესიის გაცნობისა და შერჩევის მიზნით ეწვიოს საჩხერის ,,ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას“ თეორიული ცოდნის დაუფლებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. თვითმმართველობის ინიციატივით სკოლა აპირებს აპრილის თვეში გააფორმოს მემორანდუმი ქ.საჩხერის „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან“ მომავალი უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის.
4.2.2.1.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს მოსწავლეებში პროფესიული ცნობიერების ამაღლებასა და კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობას. სკოლა რეგულარულად მასპინძლობს წარმატებულ კურსდამთავრებულებს (ექიმებს, ფსიქოლოგებს, კვების ტექნოლოგებს), რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ პრაქტიკული ინფორმაცია დარგობრივი სპეციფიკისა და აკადემიური გზების შესახებ. მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, ხორციელდება შეხვედრები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან (ფერმერი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, პოლიციელი). ეს უზრუნველყოფს შრომის ბაზრის ფართო სპექტრის გაცნობას და ამცირებს სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს სხვადასხვა პროფესიის მიმართ. მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერული უნარების განვითარებას, რადგან ისინი რეალურ მაგალითებზე ხედავენ სასკოლო საგნების (ბიოლოგია, სამოქალაქო განათლება, ტექნოლოგიები) კავშირს პროფესიულ საქმიანობასთან. მოსწავლეებს უყალიბდებათ რეალისტური წარმოდგენა მომავალ პროფესიებზე, რაც ზრდის მათი შემდგომი აკადემიური არჩევანის სიზუსტეს. წარმატებული მოდელების გაცნობა სკოლის კურსდამთავრებულთა სახით, აძლიერებს მოსწავლეთა თვითრწმენას და სასწავლო პროცესში ჩართულობას.სკოლა პოზიციონირებს, როგორც ღია საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც მყარ კავშირს ამყარებს ადგილობრივ თემთან და პროფესიულ წრეებთან.

ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ვრცელდება ყველა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით: სკოლის fb გვერდით, ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო საუბრებით, უშუალო შეხვედრებით. სკოლა აპირებს მეტად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტებთან, კოლეჯებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან ვიზიტს და შემდგომ თანამშრომლობას, რათა მოსწავლეებს ერთობლივად დაეხმაროს პროფესიის არჩევაში.

4.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.2.3. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1.სკოლის fb გვერდი

დანართი 2. პროექტი,,აღმოაჩინე შენი მომავალი“

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

2018 წლიდან სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში სწავლობს 2 სსსმ მოსწავლე, ერთი საბაზო და ერთი საშუალო საფეხურზე. სკოლამ კონკურსის საფუძველზე მიიღოს სპეც. მასწავლებელი. სკოლა აღნიშნული მიმართულებით ხელმძღვანელობს „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის **№16/ნ ბრძანებით.** ამ დროისათვის სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, სკოლის სპეციალური მასწავლებელი. ისგ ჯგუფს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. სპეციალური მასწავლებელი კოორდინირებას უწევს ისგ ჯგუფის საქმიანობას. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც შეთანხმდა სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდა პედაგოგიურ საბჭოს მიერ. შედგა გრაფიკი მშობელთან ინფორმაციის გაცვლისათვის. განსაზღვრული განრიგის გარდა მშობელთან მუდმივი კონტაქტი აქვთ პედაგოგებს ყველა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით, აძლევენ რეკომენდაციებს და იღებენ უკუკავშირს. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლამ შეიმუშავა სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი და მონიტორინგის ინსტრუმენტები, რომლის მე-4 მუხლის გათვალისწინებით შიდა მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: 1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესრულების მონიტორინგი; 2. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი; 3. სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობის შეფასება; 4. ისგ ჯგუფების შეხვედრების დროს წარმოებული დოკუმენტაციის შესწავლა, მათი მუშაობის ეფექტიანობის შეფასება. რაც შეეხება შიდა მონიტორინგის ინსტრუმენტებს, ესენია: ინტერვიუს კითხვები სპეც. მასწავლებლისთვის, საგნის მასწავლებლებისთვის, დირექციის წარმომადგენლებისთვის, შეფასების რუბრიკები, დაკვირვების ფორმები.

4.2.3.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სოფელ პერევის საჯარო სკოლის დოკუმენტაციიდან გამომდინარე დაცულია თითოეული მოსწავლის ხარისხიანი განათლების მიღების უფლება, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისაც.

სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეთათვის მომზადებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. დირექტორის **ბრძანება N2-29(18.09.2025 წ)** -ით შექმნილია ისგ-ჯგუფი, რომელშიც შედიან სკოლის მასწავლებლები და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი. ასევე წარმოდგენილია ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები, რომლიდანაც ჩანს საგნობრივი პედაგოგების, დამრიგებლის, სპეც მასწავლებლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა სამუშაო პროცესში.

ასევე 2025-26 წლის სასწავლო გეგმაში სკოლას ინკლუზიური განათლების ნაწილში გაწერილი აქვს სსსმ მოსწავლის კატეგორიების აღწერა,ისგ-ზე მუშაობის პრინციპები, პასუხისმგებელი პირები , სსსმ მოსწავლეთა შეფასების მეთოდები, მათი წინსვლის მექანიზმები და ინდიკატორები. ასევე, გაწერილია ამ მოსწავლეების უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მიზნით ისგ ჯგუფები წლის განმავლობაში იკრიბებიან ერთჯერ, განიხილავენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, შეაფასებენ, საჭიროების შემთხვევაში შეიტანენ ცვლილებებს, მასწავლებლები ისმენენ ერთმანეთის აზრს, ითვალისწინებენ მშობლების მოსაზრებებს. დირექცია მაქსიმალურად ცდილობს მხარი დაუჭიროს სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვას და განვითარებას.

ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგებს და დეტალურად გაეცნენ მათ საქმიანობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მუდმივად ხორციელდება სსსმ მოსწავლეების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები.

ეს ყოველივე კი, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და თანამშრომლობას, რომელსაც ეფუძნება სსსმ მოსწავლის წინსვლა და განვითარება.

4.2.3.2ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

დანართი 2. ისგ ჯგუფის ოქმები

დანართი 3. შიდა მონიტორინგის ჯგუფის დამტკიცების ბრძანება

დანართი 4. ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი და მონიტორინგის ინსტრუმენტები

დანართი 5.სამეურვეო საბჭოს ოქმი ინდ. გეგმის შეთანხმებაზე

დანართი 6.პედ. საბჭოს ოქმი ინდ. გეგმის დამტკიცებაზე

დანართი 7. სასკოლო სასწავლო გეგმა
დანართი 8. ბრძანება ისგს შექმნის შესახებ.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა არ ახორციელებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც ექვემდებარება მუნიციპალიტეტს.
ინდიკატორი 4.2.4.1. ვერ შეფასდება;

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.3. ვერ შეფასდება**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 26 ტექ.დათვალიერება, ტაბელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. აქტიურად იყენებენ სხვადასხვა თანამშრომლობის მექანიზმებს, აწარმოებენ პირისპირ შეხვედრებს, იყენებენ სოციალურ ქსელებს და კითხვარებს. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, საკითხები და სასწავლო რესურსები. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით. სამივე საფეხურის კათედრის პედაგოგები იაზრებენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების სტრუქტურასა და პრინციპებს.

ინდიკატორი 2.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ თითოეული თემა და საკითხი შერჩეულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითა და არსებული პრაქტიკის, განხორციელებული აქტივობების გათვალისწინებით.
პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევის დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, უნარებსა და შესაძლებლობებს, ასევე ასაკობრივ თავისებურებებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ცხადყოფს, რომ სკოლას აქვს ხედვა, განავითაროს კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინებითა და მაქსიმალური ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულები, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებლების, სასკოლო თემის და დირექციის ინტერესები და პრიორიტეტები, რისი გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები ასევე მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, დაკვირვების საფუძველზე გამოკვეთენ პრობლემას, შეიმუშავებენ მისი მოგვარების გზებს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი. ასევე, კოლეგებთან შეხვედრის რეფლექსიებში ჩანს, რომ კათედრების წევრები აქტიურად ესწრებიან ერთმანეთს და ერთობლივად ადგენენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს, რასაც ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. მსჯელობის დროს გამოიკვეთა, რომ აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და მეტად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.
ინდიკატორი 2.1.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის გაზიარება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დადასტურებულია სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, მშობელთათვის და მოსწავლეთათვის განკუთვნილი ბარათებით და კითხვარებით. კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, ასევე გათვალისწინებულია პროექტული ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი ემსახურება გლობალური

ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გაძლიერებას. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს, რომ ურთიერთობენ მშობლებთან დახურულ ჯგუფებში, უგზავნიან დავალებებს, ღონისძიებების გეგმებს და აწვდიან ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმის შესახებ. თვითშეფასებაშიც აღნიშნულია, რომ მშობლებს ინფორმაციას დამრიგებლები აწვდიან კრებებზე, ამის მტკიცებულებას წარმოადგენს მშობლებთან ინტერვიუც.

კურიკულუმი განიხილება კათედრის ფარგლებში და მტკიცდება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად პედაგოგიური საბჭოს მიერ, რაც გულისხმობს იმას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გაცნობისა და გაზიარების მიზნით იგი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სასკოლო საზოგადოების წევრები ცდილობენ საკუთარი საქმიანობა დაუკავშირონ კურიკულუმს, რათა მეტად ეფექტურად და შედეგზე ორიენტირებულად ჩაერთონ ამ დოკუმენტის რეალიზებაში.

ინდიკატორი2.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
2. *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026*
3. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 -სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლა*
4. *კათედრის დებულება--სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლა*
5. *კლასის დამრიგებლის დებულება*
6. *კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება*
7. *საგნობრივი კურიკულუმი;*
8. *მასწავლებლის პროფესიული განვითარების გეგმა*
9. *მასწავლებლის, დამრიგებლის სემესტრული ანგარიში*
10. *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
11. *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
12. *შემაჯამებელი დავალებების ანალიზი*
13. *კურიკულუმის რევიზია;*
14. *პედსაბჭოს ოქმები;*
15. *კათედრის დებულება;*
16. *კათედრის ოქმები;*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შედგენილია ეროვნული საწავლო გეგმის გათვალისწინებით. ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს. რესურსების მრავალფეროვნება, მოსწავლეებს მისცემს საშუალებას მარტივად მოახერხონ სამიზნე მცნებებზე გასვლა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე შემუშავებული სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ ძირითად მოთხოვნებსა და პრინციპებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და უზრუნველყოფს მასზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. თითეოული საგნის კურიკულუმში - მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობა, გაწერილია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სასწავლო თემები, სამიზნე ცნებები, ძირითადი საკითხები, კონტექსტ-მაგალითები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები და სასწავლო რესურსები. შესაბამისად, კურიკულუმების სტრუქტურა და შინაარსი აჩვენებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმისას აქცენტი კეთდება მოსწავლის აქტიურ მონაწილეობაზე, ცოდნის კონსტრუირებაზე და მის პრაქტიკულ გამოყენებაზე. კათედრას წარმოდგენილი აქვს ისეთი მრავალფეროვანი შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები, აქტივობები და რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების წახალისებას, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და კვლევითი, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ***რჩევა:*** უმჯობესი იქნება თუ კათედრა კურიკულუმების ჩარჩოს მეტად მოარგებს მის შინაარსს, რაც გულისხმობს შემდეგს, შემოქმედებითი დავალების გრაფაში წარმოდგენილია მხოლოდ დავლების პირობა და არსად მიზანი, მაშინ როდესაც, აღნიშნული გრაფა დასათაურებულია

	შემდეგნაირად: „შემოქმედებითი დავალების იდეა/მიზანი“; შესაბამისად, გამოდის, რომ სვეტში მოცემული ინფორმაცია ზუსტად ვერ პასუხობს მის სათაურს **(საგანი - ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასები; საგანი - ისტორია მე-8, მე-10 კლასები);** მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოს/ცხრილს დაემატოს შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის სვეტი, სადაც სასწავლო თემების მიხედვით გაიწერება შესაბამისი შემოქმედებითი დავალების პირობა და ორი, ერთი და იგივე შინაარსის მქონე სვეტები (ძირითადი კონტექსტს-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის) გაერთიანდეს ერთ გრაფაში/სვეტში; მოქალაქეობის პროექტული სწვლების ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების გეგმებში (მე-11, მე-12 კლასებში) გაიწეროს პროექტის განხორციელების ვადები, სამიზნე პირები (ვისთან ჩატარდა გამოკითხვა/კვლევა), მოსალოდნელი შედეგები, გამოწვევები, თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირები.
უცხოური ენები	ორივე უცხოურ ენაში (ინგლისური, რუსული), რომელიც ისწავლება საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლაში (როგორც სოფელ პერევში, ასევე სოფელ ჯრიაში), საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური თვალსაზრისით. თემების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესს ხელს უწყობს არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული არაერთი აქტივობა/პროექტი, რომელშიც ჩართული არიან სკოლის მოსწავლეები უცხოური ენების მასწავლებლების ხელმძღვანელობით.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სამივე საფეხურისათვის შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის.

	კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები (შემოქმედებითი დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, საზოგადო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას.
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალებები, რომლებიც შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნას მოითხოვს. ამ ტიპის დავალებებზე თანმიმდევრული და მიზანმიმართული მუშაობა გულისხმობს მოსწავლის კონკრეტული გამოცდილების, ინტერესების, ფსიქო-ემოციური მხარის გათვალისწინებასა და მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში, სადაც მოსწავლე თავად წარმართავს სწავლის პროცესს და აგებს ცოდნას. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესის ამსახველი ნიმუშები, რომლებიც წარმოადგინეს, ითვალისწინებს საგანმანათლებლო პრინციპებს და მოსწავლის მთლიანპიროვნულ განვითარებას ემსახურება.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყდნობით, აკმაყოფილებენ კურიკულუმის ჩარჩო - დოკუმენტის მოთხოვნებს და მოიცავენ ყველა აუცილებელ კომპონენტს. გაწერილია, თუ როგორ არის დაგეგმილი მოსწავლეთა განვითარების გზა, რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლება, მიმართულია სტანდარტით მოცემული შედეგების მიღწევაზე. კურიკულუმებში გაწერილია შემოქმედებითი დავალების იდეა, რომლებიც შუალედურ მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიან მიზანზე გასვლას. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით, რაც იმის მანიშნებელია, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო

	პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმაც გასაუბრების დროს. *რჩევა:* მიზანშეწონილია ინფორმაცია საგნობივი კურიკულუმის შესახებ უფრო ვსრულყოთ და შეიცვდეს: კურიკულუმის სახელწოდებას, სასწავლო საგნის ხანგრძლივობას სემესტრის/ წლის განმავლობაში, ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს,ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს.
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასში განსაზღვრული სამიზნე ცნებები, მისაღწევი შედეგები, შეფასების პრინციპები მოსწავლეთა ასაკობრივი და განვითარების შესაძლებლობების შესაბამისია. სასწავლო პროცესი დაგეგმილია წინარე ცოდნისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც მიიღწევა ეფექტური სწავლითა და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობით. კურიკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მიიღწევა შუალედური მიზნების საშუალებით. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ფანტაზიის უნარს, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება შემოქმედებითი პროდუქტი მისთვის სასურველ ფორმატში შეასრულოს (ელექტრონული, მატერიალური). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული

	კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, შემოქმედებითი დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია, საგნის სწავლა-სწავლების ძირითადი მიზნები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით.

ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები დამუშავებულია სტანდარტების შესაბამისად. სამიზნე ცნებები და ქვემცნებები ჩამოყალიბებულია ლოგიკური ურთიერთდაკავშირებით, რაც აღქმის და დამახსოვრების კარგი საფუძველია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო თემის ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის, საზოგადობერივი მეცნიერებების

	საგნობრივი სტანდარტით. აღნიშნული სამიზნე ცნებები წარმოადგენს საგნის სწავლების მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საფუძველს და მათი დამუშავება შესაბამისი კონტექსტ-მაგალითების განხილვითა და შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებების დახმარებით, უზრუნველყოფს იმ გრძელვადიან შედგებზე გასვლას, რომელსაც მიზნად ისახავს საგნობრივი სტანდარტი ზოგადი განათლების თითოეული საფეხურის ბოლოს. როგორც კათედრასთან გასაუბრებისას, ასევე მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშებიდან და პროექტებიდან (მოქალქეობის საგნის ფარგლებში განხორციელებული პროექტები საშუალო საფეხურზე) ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება როგორც თეორიული ცოდნის მიღებაზე, ასევე სწავლების კონსტრუქტივისტულ მეთოდებზე, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მიღებული ცოდნის ტრანსფერი რეალურ ცხოვრებაში. ამგვარი მიდგომებით, პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეებში ისეთი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევბის განვითარებას, რომელიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი სტანდარტით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. **რჩევა:** შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებების ბარათებში ჩანდეს კონკრეტული დავალების მიზანი, მათ შორის სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, განისაზღვროს მისაღწევი შედეგების ინდიკატორები, მოლოდინები - რა უნდა შეძლოს მოსწავლემ, რომელი სასწავლო თემის ფარგლებში სრულდება დავალება და რომელი სასწავლო რესურსი დაეხმარება მოსწავლეს მის შესრულებაში (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგანებში სამივე საფეხურზე); გეოგრაფიის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შედარებით მწირი რაოდენობით გვხვდება შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები, უმჯობესი იქნება, თუ თითოეული სასწავლო თემისთვის მინიმუმ ერთი ასეთი ტიპის დავალება მაინც იქნება გათვალისწინებული.
უცხოური ენები	უცხოურ ენებში, საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი (I-VI კლასები), ჟანრი (VII-XII კლასები),

	სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები - (I-XIIკლასები), კულტურათა დიალოგი (V-XII კლასები). კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას.
ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებით წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში შეთავაზებული დავალებები სხვადასხვა სამიზნე ცნებას ააქტიურებს, დავალების პირობა ითვალისწინებს მისაღწევ შედეგებს. წარმოდგენილი საინტერესო და მრავალფეროვანი შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტების შექმნა მოსწავლეს უნდა დაეხმაროს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში.
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. შემოქმედებითი დავალების იდეა, უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას, რაც დადასტუდა კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც და გამოხატეს მზაობა კურიკულუმები მიმართული იყოს ესგ-ით განსაზღრული მიზნებისაკენ. ***რჩევა:*** მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემტიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა. სამიზნე ცნებები ჩავშალოდ უფრო კონკრეტულად, მოკლედ და მკაფიოდ.
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები,

	დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში.
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმების შინაარსი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებს, შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია საფეხურის მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. გლობალური ფუნქციური უნარები აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულია შუალედური მიზნები, ხოლო მათი შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და ინდიკატორებთან. გარდა ამისა, თითოეული თემისა და საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა და დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების ეფექტიან მიღწევას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები,

	ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. **რჩევა:** მე-3 და მე-4 კლასების ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში სავალდებულო თემები გაიწეროს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საკმარისი რესურსები წარმოადგინეს როგორც ლიტერატურული ასევე ონლაინ რესურსები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგის მიღწევაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისთვის შერჩეული ძირითადი და დამხარე სასწავლო რესურსები ერთმანეთთან შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვა და სხვა თეამტურ კონტექსტში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შასაბამისად და შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინეტერესებსა და საჭიროებებს. ***რჩევა:*** მე-7, მე-9, მე-10 კლასის ისტორიის და მე-7, მე-8, მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმებში სასურველია, კათედრამ წარმოადგინოს უფრო მრავალფეროვანი და შემოქმედებითი დავალებებისთვის რელევანტური, დამატებითი სასწავლო რესურსი (მათ შორის ინტერნეტ რესურსები).
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსები, მ.შ. საგანმანათლებლო რესურსი. როგორც წარმოდგენილი მასალებიდან და

	სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან გაირკვა, რესურსები ირჩევა ყოველი სასწავლო წლის დასასრულს მომავალი სასწავლო წლისთვის პედაგოგების აქტიური თანამშრომლობით და გადაიხედება სასწავლო წლის დასაწყისში. ყველა რესურსი საგულდაგულოდ არის შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. საგნობრივი კურიკულუმისთვის განსაზღვრული რესურსი შერჩეულია უცხოური ენების კათედრის მიერ წინა წლის გამოცდილების, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსის - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები სკოლის სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილია საინტერესო და მრავალფეროვანი სასწავლო მასალა, რომელმაც მოსწავლის ინტერესი უნდა აღძრას და განაწყოს სირთულეების დასაძლევად. დავალებების შესასრულებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი მიზანმიმართულადაა შერჩეული, რაც მოსწავლეებს უნდა დაეხმაროს დასახული ამოცანების წარმატებით დაძლევაში.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებში თითოეული თემის დამუშავებისას გაწერილია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, როგორიცაა ძირითადად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, ასევე სხვადასხვა სასწავლო ელექტონული რესურსი, რითაც დასტურდება კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევა. იგივე დადასტურდა პედაგოგებმაც გასაუბრების დროსაც.
სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია

	კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვდადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითაროონ ფიზიკური თვისებები.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები მრავალფეროვანია და უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში ასახულია შესაბამისი რესურსები, რომლებიც მიმართულია ცნებების, შედეგების, თემებისა და საკითხების შინაარსის გააზრებაზე. ძირითად საგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენს ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი - https://school.emis.ge/. და სხვა დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები რომლებიც ავსებს და ამდიდრებს სასწავლო პროცესს. (https://scratch.mit.edu, https://myboardmaker.com/Acti, https://studio.code.org, https://millab.ge/ka, YouTube, გრაფიკული რედაქტორები Paint, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით", , Sway, Powerpoint, Word, wordpad, Excel, Microsoft-ის ღრუბლოვანი შენახვის სერვისი One Drive. მათი გამოყენება მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისაკენ. საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. რესურსები ძირითადად მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდულურ საჭიროებებსა და ინტერესებს. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილების ხარისხიანად ჩატარების მოთხოვნებს, ამ ლაბორატორიით სარგებლობა შეუძლიათ სხვა საგნის მასწავლებლებსაც გაკვეთილზე ელექტრონული რესურსების გამოსაყენებლად. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები,

	სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ყოველმხრივ მზად არიან, რომ სასწავლო პროცესი იყოს ინკლუზიური და გააზრებული. გათვალისწინებული აქვთ ყველა ის დიფერენცირებული მიდგომა რომელსაც ითვალისწინებს სასწავლო პროცესი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადიებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით (საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ბარათები, მასწავლებელთა რეფლექსიები/ანგარიშები) ირკვევა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი არის ინკლუზიური. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. ისინი მოსწავლეთა მზაობის, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით ახდენენ როგორც დავალებების პირობის, ასევე აქტივობების მოდიფიცირებას.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც უცხოური ენების კურიკულუმებში არ ჩანს, თუმცა წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმა, ადაპტირებული კომპლექსური დავალება. უცხოური ენების კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს განსხვავებულ მიდგომებს მოსწავლეთა ინტერესების, სწავლის სტილის და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული შემოქმედებითი დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას უწყობს ხელს. წლის დასაწყისში, სამივე საფეხურზე პედაგოგებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით კურიკულუმში შეაქვთ ცვლილებები, მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში (ამ ეტაპზე ესთეტიკურ

	საგნებში არ ყავთ სპეციალური საჭიროების მოსწავლე), აქვთ გამოცდილება და კომპეტენცია შეიმუშაონ ინდივიდუალური გეგმები.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში შეთავაზებული აქვთ დავალებები, რომლებზეც მუშაობა სხვადასხვა მზაობის თითოეული მოსწავლის ცოდნა-გამოცდილების, ინტერესების გათვალისწინების გარეშე სათანადოდ ვერ წარიმართება. შემოქმედებით დავალებაზე მუშაობამ თითოეული მოსწავლე უნდა გააქტიუროს, რათა მოსწავლემ თავად ააგოს ცოდნა.
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ აქვთ სსს მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება., შესაბამისად შემუსავებულ აქვთ ისგ-ები. მათ დაადასტურეს რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს და სასწავლო პროცეს ამ საჭიროებებზე მორგებულად გეგმავენ და ახორციელებენ, აქტიურად თანამშრომლობენ სპეცმასწავლებელთან და ერთობლივად იმუშავებენ ისგ-ას, დავალებებს მოდიფიცირებას უკეთებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით და შესაბამისად სასწავლო პროცესს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით წარვმართავთ დაადასტურეს კიდეც კათედრის წევრებმა.
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა ისაუბრეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური მიდგომების შესახებ. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან.
ტექნოლოგიები	მტკიცებულებებზე დაყრდნობით, კომპიუტერული ტექნოლოგიების II–VI კლასების კურიკულუმების განხილვა აჩვენებს, რომ მათი სტრუქტურა და კონცეფცია ხელს უწყობს

	ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მოიცავს ერთსა და იმავე ცნებაზე მორგებული დავალებების მრავალფეროვნებას, რაც უზრუნველყოფს განსხვავებული შესაძლებლობებისა და სწავლის სტილის მქონე მოსწავლეების ჩართულობას. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიურად და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. შუალედური მიზნების მიღწევა ხორციელდება შემოქმედებითი დავალებებით, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს არჩევანის შესაძლებლობას და საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება. მასწავლებელი აქტიურად ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და საჭიროების შემთხვევაში ცვლის დაგეგმილ აქტივობებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი. სასწავლო პროცესში ასევე გამოიყენება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ გააზრებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სასკოლო – სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

ინდიკატორი 2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან და ისეა შემუშავებული, რომ ხელს შეუწყობს სწავლა სწავლების პროცესის სრულფასოვნად წარმართვას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლები ხელმძღვანელობენ, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით. კათედრამ წარმოადგინა შემოქმედებითი დავალების ნიმუშები თანდართული შეფასების რუბრიკებით, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. განმავითარებელ რუბრიკებში და მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების ნიმუშებში წარმოდგენილ მასწავლებელთა კომენტარებიდან ჩანს მოლოდინები, რომელიც შესაბამისობაში მოდის სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან. განმსაზღვრელი შეფასების თითოეული კრიტერიუმი კი შემუშავებულია სასწავლო თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორების გათვალისწინებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსწავლის შეფასების სისტემა ადეკვატურად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. ***რჩევა:*** ვინაიდან, პედაგოგებთნ გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათი შეფასების სისტემა ნაკლებად მოიაზრებს მოსწავლეთა თვითშეფასების კომპონენტს, უმჯობესი იქნება, თუ ამ საკითხს უფრო სიღრმისეულად განიხილავს კათედრა და იმუშავებს აღნიშული კომპონენტის მეტად გათვალისწინებაზე მოსწავლეთა შეფასების პროცესში.
უცხოური ენები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას შემუშავებული აქვს ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). საფეხურების მიხედვით დამატებით წარმოდგენილია მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებებისა და

	ცალკეული აქტივობების მიხედვით. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. მასწავლებლები სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ვერბალურ და წერილობით განმავითარებელ უკუკავშირს როგორც საკლასო ოთახებში, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა მოსწავლეზეა ორიენტირებული. მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის ცნობილია შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები. მოსწავლეებმა ყოველთვის იციან, რა კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება. შეფასების რუბრიკებში დეტალურადაა გაწერილი შეფასების მიზნები და კრიტერიუმები. შეფასების რუბრიკების შექმნის პროცესი ჩართული არიან თავად მოსწავლეებიც, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალობას და ობიექტურობას.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ შეფასების ზოგადი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკების ნიმუშები. შეფასების სქემებში კონკრეტული დავალების მიხედვით დაკონკრეტებულია შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები. **რჩევა** (სამივე საფეხურისთვის): მიზანშეწონილია, შეფასების სქემები დავალების სრულ პირობასთან ერთად იყოს წარმოდგენილი, რომ მკაფიოდ ჩანდეს მიმართება დავალების პირობასა და შეფასების სქემას შორის.
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა ესგ-ის მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებისა და გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით შეფასების რუბრიკები. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეთა შეფასებას, რომ შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი პროცესი. შეფასების პროცესში მოსწავლეებს ვაძლევთ კონსტრუქციულ უკუკავშირს, სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და დაადასტურეს მზაობა, მომავალშიც შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნობიან ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და

	ამოცანების გათვალისწინებით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტების მიღწევის შედეგებზე დაყრდნობით.
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები.
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და ითვალისწინებს შეფასების ტიპებსა და შესაბამის კომპონენტებს. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი, განმსაზღვრელი და შემაჯამებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. მათ შორისაა შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმა, თვითშეფასება, ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში გამოყენებული შეფასების მასალები. მასწავლებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის გააზრებასა და განვითარების დინამიკას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა.

2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
2. *კათედრის სხდომის ოქმი და თანდართული წლიური სამუშაო გეგმა;*
3. *მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილი როგორც კათედრის ოქმის თანდართულ დოკუმენტად, ასევე ჩაშენებული შემოქმედებითი დავალებების ბარათებში;*

4. *კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები;*
5. *პედაგოგთა რეფლექსიები და საგნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ანგარიშები;*
6. *მოქალაქეობის პროექტული სწავლების ფარგლებში განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.*
7. *დანართი 1. სასკოლო სასწავლო გეგმა;*
8. *დანართი 3. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგია;*
9. *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
10. *დანართი 3. სკოლის სამოქმედო გეგმა;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში სრულიად არის გათვალისწინებული სასკოლო კურიკულუმი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო წლის დასაწყისში, მასწავლებლების მიერ ესეგე-სთან შესაბამისობაში გაწერილ საგნობრივ კურიკულუმებში მეტწილად გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სასწავლო თემებს შორის. ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით, რომელიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები/ბარათები, განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, მასწავლებელთა რეფლექსიები და ანგარიშები (მათ შორის თანდართული ფოტო მასალით) ცხადყოფს სასწავლო პროცესის შესაბამისობას სასკოლო კურიკულუმთან მიმართებაში. ***რჩევა:*** სასურველია მე-10 ლასის ისტორიის კურიკულუმში, შემოქმედებითი დავალების პირობაში ზუსტად გაიწეროს, თუ კონკრეტულად რა სახის პროდუქტს ქმნის მოსწვლე (სტატია, კომიქსი, თხზულება, საინფორმაციო ბუკლეტი, პოსტერი და ა.შ.) და რაზე დაყრდნობით აკეთებს ე.წ. „ზეპირ მოხსენებას“; მე-5 კლასის, საგნის - ჩვენი საქართველო, კურიკულუმში, დაკონკრეტდეს პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები ქმნიან დავალების ფარგლებში;
უცხოური ენები	სკოლას გააჩნია კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ეყრდნობა კათედრების/დამრიგებლების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში კი ხდება ცვლილებების შეტანა მათში.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ იგი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სწორი დაგეგმვიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის შედეგიანად წარმართვას.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის სასწავლო პროცესში დასანერგად და კურიკულუმის განვითარებისთვის გათვალისწინებულია დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.
მათემატიკა	კათედრის წევრებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით შემუშავებული და დამტკიცებული მათემატიკის კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესს ხორციელდება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების ორიენტირით, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით: განხორციელებული პროექტები, დაგეგმილი აქტივობები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა შ.
სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით. ინტერვიუს დროს სამივე საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები, სადაც გარკვეული წარმატებაც აქვთ.
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების შექმნის მკაფიო გეგმა და მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება კათედრების, დამრიგებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ განსაზღვრულ საჭიროებებს. სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები, შედეგები და აქტივობები

	როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპზე თანმიმდევრულად არის გათვალისწინებული. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და საკვანძო შეკითხებს შორის. ეს უზრუნველყოფილია ერთის მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმებით, მეორე მხრივ რეალიზებული შემოქმედებითი დავალებებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

ინდიკატორი N 2.2.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა დაკვირვებისა და პრობლემაზე ორიენტირებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განხორციელების გზით ცდილობს საგანმანათლებლო საქმიანობის გაანალიზებას და რეაგირებას დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე მორგებით. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს. ამის მაგალითია როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეთავაზება კონკრეტული აკადემიური ან სოციალურ-ემოციური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებელთა შორის საათების გადანაწილება, ან საათობრივი განრიგის კორექტირება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ასევე მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული შედეგები.

სკოლა აქტიურად იყენებს უკუკავშირის მექანიზმებს (კონსულტაციები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მშობელთა შეკრებები, სადამრიგებლო საათები), რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებას. გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ეფუძნება მონაცემებს და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებაც ხდება შესაბამისი ანალიზის საფუძველზე.

ინდიკატორი 2.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა, აბსოლუტურად ვალიდურია, გამჭირვალე სანდო და ობიექტურია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების გათვალისწინებით და ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის, ამ გზით, კათედრა უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. სამივე საფეხურზე აქტიურად გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის, კომპეტენციებისა და უნარების, მისი პროგრესის სრულფასოვან ასახვას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და მათ მიერ წარმოდგენლ შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებათა ბარათების ნიმუშებშიც მკაფიოდ ჩანს, რომ წინასწარ (დავალების შესრულებამდე) მოსწავლეებს მიეწოდებათ სრულყოფლი ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რომელიც კონკრეტულ დავალებაზეა მორგებული და ადაპტირებული. ასევე დოკუმენტაციის შესწავლისას ირკვევა, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სიზუსტის გადამოწმებას, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობასა და სამართლიანობას.
უცხოური ენები	მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს განმსაზღვრელ (V კლასის II სემესტრი და VI კლასი - დაწყებით საფეხურზე; VII-XII კლასებში - საბაზო და საშუალო საფეხურებზე) და განმავითარებელ შეფასებებს ყველა საფეხურზე. შეფასება ხორციელდება ათქულიანი სისტემით. უცხოური ენების მასწავლებლები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს კონკრეტული რეკომენდაციების შესამუშავებლად. კათედრა იყენებს შეფასების სქემებს ამა თუ იმ აქტივობებისთვის, მაგალითად, დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატისა და სხვა დავალებისთვის. შეფასებისას მასწავლებელი ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული

	მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების დონის განსაზღვრას. სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტით კონტროლდება მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხიც. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი შეფასება აღწერს მოსწავლის განვითარების დინამიკას, ცოდნის კონსტრუირების პროცესს, წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას. შეფასების ფორმები, დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. პედაგოგები მოსწავლეებს ინტენსიურად აცნობენ შეფასების სისტემას, ხოლო კონკრეტული დავალებების შემთხვევაში - კონკრეტულ რუბრიკას, რომელიც უკავშირდება დავალების მიზანს. შემოქმედებითი დავალების პირობას შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და მათ მშობლებს, რაც განაპირობებს მის გამჭვირვალობას.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლაში დანერგილი შეფასების სისიტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამას ადასტურებს ის, რომ ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა და მშობლებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის პროცესში ჩართული არიან თავად მოსწავლეები, რას სისტემას ეფექტურს და სანდოს ხდის.
სახელმწიფო ენა	შემუშავებული აქვთ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტურია. სრული სურათის შესაქმნელად ინფორმაციის მოპოვება იგეგმება მრავალფეროვანი წყაროებით _ როგორც მოსწავლისგან, ისე მასწავლებლისა და მშობლისგან. მასწავლებელი იკვლევს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას. იგეგმება მონაცემთა მოპოვების მრავალფეროვანი მეთოდები _ დაკვირვება, ტესტირება, ინტერვიუ.

მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლის შემუშავება დაფუძნებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტებში მიღწევის ინდიკატორებზე, რაც ადასტურებს მის ვალიდურობას. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები, იგივე დასტურდება კათედრის წევრების მიერ გასაუბრების დროს და განმტკიცებულია წარმოდგენილი რუბრიკებით.
სპორტი	შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებელები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს, პროცესს და მოთხოვნებს, რაც მათ ეხმარება სწავლის სწორად დაგეგმვაში. შეფასება ეფუძნება მტკიცებულებებს, უზრუნველყოფს სანდოობასა და დასაბუთებულობას. პროცესი ორგანიზებულია სამართლიანად — ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი პირობები და შესაძლებლობა წარმოაჩინოს საკუთარი მიღწევები. შეფასება ობიექტურია და ერთნაირი შედეგი ერთნაირად ფასდება. გამოიყენება სხვადასხვა ტიპის (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება და მრავალ წყაროზე დაფუძნებული მიდგომა, ასევე პრაქტიკაშია ურთიერთდასწრება, ურთიერთშეფასება და თვითშეფასება. სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე.

	გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი N 2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დებულება. დამტკიცებულია ვერიფიკატორთა გუნდი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებენ კათედრის ხელმძღვანელები (როტაციის პრინციპით) სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც მოიცავს, ზოგად დებულებებს, ვერიფიკაციის დაგეგმვასა და წარმართვას, მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურას, ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების და პასუხისმგებლობის სფეროს.
სკოლამ წარმოადგინა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებენ სწავლის შედეგების გაზომვისა და გაანალიზების მიზნით.
კათედრას ასევე წარმოდგენილი აქვს: შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მასწავლებელების გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსიები, კათედრის სხდომის ოქმები, სადაც გაანალიზებული და შეჯამებული აქვთ სწავლებაში არსებული მდგომარეობა. სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი და პირობები. სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასება, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია.
ინდიკატორი2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. ადგილზე ვიზიტმა აჩვენა და ასეევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ

შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს.

ინდიკატორი2.2.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
2. *კათედრის სხდომის ოქმი და თანდართული წლიური სამუშაო გეგმა;*
3. *მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილი როგორც კათედრის ოქმის თანდართულ დოკუმენტად, ასევე ჩაშენებული შემოქმედებითი დავალებების გარათებში;*
4. *კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები;*
5. *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;*
6. *პედაგოგთა რეფლექსიები და საგნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ანგარიშები;*
7. *მოქალაქეობის პროექტული სწავლების ფარგლებში განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.*
8. *დანართი 1. სასკოლო სასწავლო გეგმა;*
9. *დანართი 3. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგია;*
10. *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
11. *განხორციელებული პროექტები დაწყებით საფეხურზე;*
12. *ინტეგრირებული ვიზუალური რესურსების პროექტი;*
13. *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
14. *შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;*
15. *ინდივიდუალური სასწალო გეგმები;*
16. *მოდიფიცირებული დავალებები;*
17. *პროექტების განხორციელების რეფლექსიები*
18. *მოსწავლეთა მიერ შექმნილი ნამუშევრები (კომპლექსური დავალებები და პროექტები)*
19. *პედაგოგების მიერ შექმნილი როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური რესურსები.*
20. *დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რსურსებს, აქვთ მოწყობილი სალაბორატორიო სივრცეები რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტებს, ელოდებიან დამატებით ინვენტარს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმის (ოქმი №1) გაცნობისას ირკვევა, რომ პირველივე სხდომაზე მოხდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა. ამასთან, გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი მოცემულია ცალკე დოკუმენტის სახითაც. გრიფირებული სახლემძღვანელოების თემების/საკითხების შესაბამისი გვერდები და შემოქმედებით/კომპლექსურ დავალებებთან კორელაციის მქონე დამხმარე რესურსები (ძირითადად ინტერნეტ რესურსების ბმულები) წარმოდგენილია საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ კურიკულუმებში. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს, რომ კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე რესურსებს, მათ შორის ინტერნეტ რესურსებს, ისინი აქტიურად გამოიყენებენ სასწავლო პროცესში, შესაბამის საკლასო აქტივობებსა და კომპლექსური ტიპის დავალებებში.
უცხოური ენები	სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი რესურსია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია აგრეთვე ელექტრონული რესურსების გამოყენება.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე კათედრაზე ეფექტურად იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ მრავალფეროვან და მოსწავლეზე ორიენტირებულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო შინაარსის - სასწავლო რესურსს (ელ. რესურსები, ბმულები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები) . გარდა სამინისტროს მიერ მოწოდებული ციფრული

	რესურსებისა, მასაწავლებლები თავადაც ქმნიან სხვადასხვა სახის რესურსებს და აქტიურად იყენებენ მიზნის მისღწევად.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში იგეგმება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსის გამოყენება. საგნობრივ კურიკულუმებში, გარდა სახელმძღვანელოებისა, დაგეგმილია დამატებითი გრაფიკული მაორგანიზებლების, მულტიმედიური ტექსტების გამოყენება.
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია თითოეული თემის დამუშავების ფარგლებში სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვნელოები, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი, სწავლების დროს იყენებენ სხვადასხვას საგანმანთლებლო პლათფორმებსაც რაც დაადასტურა კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. **რჩევა:** მიზანშეწონილია თემის დამუშავების პროცესში გამოყენებული ძირითადი რესურსის, სახელმძღვანელოს მითითებისას მიუთითოთ გვერდები, ხოლო ელექტრონული რესურსების გამოყენებისას შესაბამისი ბმულები.
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში,სამივე საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადსხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია: ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი - https://school.emis.ge/ და ასევე სხვა ელექტრონული პლატფორმები: (https://scratch.mit.edu, https://myboardmaker.com/Acti, https://studio.code.org, https://millab.ge/ka, YouTube) და სხვა დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები რომლებიც ავსებს და ამდიდრებს სასწავლო პროცესს. (გრაფიკული რედაქტორები Paint, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით", Sway, Powerpoint, Word, wordpad, Excel, Microsoft-ის ღრუბლოვანი შენახვის სერვისი One Drive. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს

	ელექტრონული რესურსების შეუფერხებელ გამოყენებას. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილების ხარისხიანად ჩატარების მოთხოვნებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა ითვალისწინებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე დამხმარე სასწავლო რესურსების არჩევა ხდება კათედრაზე. მასწავლებლები უპირატესობას ანიჭებენ იმ ტიპის სასწავლო რესურსებს, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და მათ შორის უშუალოდ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და სხვა და სხვა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში არსებულ მოთხოვნათა გათვალისწინებით. შესაბამისად, კათედრა ახდენს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.
უცხოური ენები	სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას, თუმცა ცალკე დოკუმენტის სახით დამხმარე რესურსების ვალიდაციის მექანიზმი არ არის წარმოდგენილი.რესურსების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და მტკიცდება საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება/რევიზიის პროცესის ფარგლებში და იგი სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და შეხვედრებზე განიხილავენ კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის საკითხებს, მათ

	შორის შერჩეული დამხმარე რესურსის ვალიდურობასა და ეფექტიანობას, რაც აადვილებს რესურსის შეფასების საქმეს.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია არსებული და შექმნილი დამხმარე რესურსების ვალიდაცია. ისინი სრულ შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. პედაგოგების მაღალი კომპეტენცია და სტრატეგიების ფლობის დონე, უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას.
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსის შერჩევას წინ უსწრებს რესურსის სათანადო შეფასება _ რამდენად სანდო და ხარისხიანია მასალა. ასევე განიხილება, რამდენად მიზანმიმართულია მისი გამოყენება კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად.
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ძირითადად იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ამასთანავე სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას განახორციელებენ კათედრაზე, რამდენადაა ეს თუ ის რესურსი ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნების შესაბამისი, დაეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და დააკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს. ზემოთქმული კი დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითაც.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწვალო რესურსის ვალიდაციას
ტექნოლოგიები	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. რესურსები წარმოდგენილია მატერიალური ან და ელექტრონულ ფორმატში და თავმოყრილია საგნობრივ კურიკულუმებში. სასწავლო წლის დასასრულს კურიკულუმების რევიზია/გადახედვისას მასწავლებლები კათედრებზე განიხილავენ დამხმარე რესურსების ვალიდაციის საკითხსაც და მათი მოსაზრებების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება დამხმარე რესურსების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანის გზით. საერთო ჯამში, სკოლაში არსებული პრაქტიკა

	შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების მიზნობრივ, დასაბუთებულ და ხარისხიან გამოყენებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ.

ინდიკატორი 2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.2.3.**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რადგან სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და დასკვნის პროექტის შედგენის პერიოდისთვის სკოლას აღნიშნულ ინდიკატორში განესაზღვრა ხარვეზი საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმებისთის. სკოლის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისა და შესაბამისობის გეგმით ნაკისრი ვალდებულებების განსაზღვრის შემდეგ, სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, რომ 2027 წლის 25 მაისამდე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას აღჭურავს ყველა საჭირო რესურსით. ამასთანავე, საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნების **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის**

	შედეგების მიღწევა 2027 წლის 25 მაისამდე უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით . შესაბამისად, ინდიკატორი ფასდება სრულად დაკმაყოფილებულად. **ინდიკატორი 2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ფოტომასალისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, კერძოდ სკოლაში მასწავლებლები, გარდა სახელმძღვანელოებისა და საჭირო საკანცელარიო ნივთებისა, აგრეთვე გამოიყენებენ საგნის ფარგლებში შესასწავლი თემის მიხედვით შერჩეულ შესაბამის თვალსაჩინოებებს (რუკებს, დიაგრამებს და ა.შ.), ასევე წინასწარ შეთანხმება/დაგეგმვის გზით, უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებასაც, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას და ესეგეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
უცხოური ენები	უცხოურ ენებში, კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერები, პროექტორი), ასევე პედაგოგების და მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსები (მ.შ. ხელნაკეთი)
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფენ სკოლაში და კათედრაზე არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ციფრული რესურსები, ილუსტრაციები და სხვა. სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა თავის მხრივ საშუალებას აძლევს პედაგოგებს აქტიურად და ეფექტურად მიმართონ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება.
სახელმწიფო ენა	სკოლას სათანადო გარემო აქვს შექმნილი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად. შესაბამისი მატერიალური რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს.
მათემატიკა	სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი.

	სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა შ, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დასტურდება კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც.
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს დარბაზში თუ გარე მოედანზე, რათა ეფექტური იყოს გაკვეთილი. გამოყენებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს რაც მოცემულია კურიკულიმში.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 9 პერსონალური კომპიუტერი და 2 პროექტორი. სკოლის შიდა სივრცე სრულად დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც.

ინდიკატორი 2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სწავლა სწავლების პროცესს წარმართავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული ყველა საგნობრივი დისციპლინის შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები, სკოლას ჰყავს ხუთი წამყვანი, 18 უფროსი მასწავლებელი, სკოლაში დასაქმებულია პრაქტიკოსი მასწავლებლებიც, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გაკვეთილების დაგეგმვასა და წარმართვას. დირექტორი-1; დირექტორის მოადგილე-1; ბიბლიოთეკარი-1, სპეციალური მასწავლებელი-1. ბუღალტერი-1; საქმისმწარმოებელი-1; ექთანი-1, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი-1; დარაჯი-2, დიასახლისი-2.სკოლის მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, არის მაგისტრი, ან მასთან გათანაბრებული. სკოლის პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. პედაგოგის შესარჩევი კომისია არის მრავალფეროვანი, კერძოდ: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, პროფესიული კავშირების წარმომადგენელი, სკოლის წარმომადგენელი. შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრს.

ინდიკატორი 2.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ბრძანება გარე კონკურსის გამოცხადებაზე;*
2. *საკადრო კონკურსის ჩატარების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები;*
3. *ემისის გაზა;*
4. *საათობრივი ბადე;*
5. *შრომითი ხელშეკრულებები;*

6. *კურიკულუმები-სამივე საფეხური*
7. *დიფერენცირებული დავალებები*
8. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*
9. *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემები*
10. *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
11. *კათედრის სხდომის ოქმი;*
12. *გრიფირებული სახელმძღვანლოების ჩამონათვალის ამსახველი დოკუმენტი;*
13. *კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები;*
14. *წარმოდგენილი ფოტომასალა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და იდენტიფიცირება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება.

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ კათედრაზე ერთად შეიმუშავებენ ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების გეგმასა და ინსტრუმენტებს, ამზადებენ რეკომენდაციებს და გამოვლენილ პრობლემაზე ორიენტირებულად გეგმავენ მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებს. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხდება. კონკრეტულად, კათდრაზე ერთად შეიმუშავებენ ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების გეგმასა და ინსტრუმენტებს, ამზადებენ რეკომენდაციებს და გამოვლენილ პრობლემაზე ორიენტირებულად გეგმავენ მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებს. ზემოაღწერილი კი განაპირობებს ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

ინდიკატორი2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განხორციელებულ შემოქმედებითი ბუნების დავალებების რევიზიას ახორციელებენ პრობლემის გამოკვეთაზე ორიენტირებულად, ერთობლივი მსჯელობით და თანამშრომლობით იკვლევენ პრობლემის გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. აღნიშნულის მტკიცებულებაა ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტები და რესურსები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში, იკვეთება საკვანძო საკითხები სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასთან მიმართებით. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა აღნიშნულ

საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული უკვე არსებული პრაქტიკაა და სამომავლოდაც აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის.

ინდიკატორი 2.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარება და მხარდაჭერა. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი", რომელიც დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული დებულების მიხედვით, რომლის თანახმად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შედეგების ანალიზი, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და გასცემენ განვითარებაზე ორიენტირებულ, არგუმენტირებულ უკუკავშირს. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. მასწავლებლები, მონიტორინგსა და შეფასებას საკუთარ საქმიანობაზე, თავად ახორციელებენ გაკვეთილზე ურთიერთდასწრებით. მიღებული უკუკავშირის შედეგად ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხებზე, რომლებიც ეხმარება მათ ასახონ გაუმჯობესების გზები გადაჭრან გამოკვეთილი პრობლემები. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები, კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. გამოკვეთენ პრობლემურ საკითხებს და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი.

ინდიკატორი 2.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*
2. *კურიკულუმის ანალიზი;*
3. *კათედრის ოქმები და ანგარიშები;*
4. *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;*

5. *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები, ანგარიშები.*
6. *ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;*
7. *თვითშეფასების ამსახველი დოკუმენტები*
8. *მასწავლებლის სემესტრული ანგარიშები*
9. *სასწავლო პროცესის შეფასების დოკუმენტები*
10. *შემაჯამებელი დავალებების ანალიზი*
11. *ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი თანაბარ ძალას ანიჭებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რაც თავის მხრივ მოიაზრებს სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით.

მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხორციელდება განმავითარებელი (I-IV და V კლასის პირველი სემესტრი) და განმსაზღვრელი (V კლასის მეორე სემესტრი -VI კლასები) შეფასების რუბრიკებით, ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით აწარმოებენ ჰოლისტურ შეფასებას. შეფასება არის ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა პრაქტიკა (მაგ: კათედრის შეხვედრის ოქმი, ურთიერთდასწრების ფორმები) რომელიც წარმოაჩენს წყაროებს, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომლის საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს.

ინდიკატორი 2.3.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყველა საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა და მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად, მაგ: ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუს მიხედვით სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. ასევე, იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთა შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რაც თითოეული მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეფასების საშუალებას იძლევა. გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლები შეფასებას ახორციელებენ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინების საშუალებას, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. კერძოდ, მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, რომ მოსწავლის სწავლის დინამიკის შესაფასებლად ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს მრავალფეროვანი გზების გამოყენებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სისტემატურად იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებს. კერძოდ, გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერვიურება და სხვა. მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებით ადგენენ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აზრს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. რისი მტკიცებულებაც ადგილზე შესწავლილი დოკუმენტებია. რაც შეეხება მასწავლებლის მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევას, მათი თვალსაზრისით, ამ პროცესის მიზანია, შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მის მიერ შემუშავებული ინტერვენცია, სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები უზრუნველყოფს.

ინდიკატორი2.3.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით შეძლონ დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მაგალითად, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ.

ინდიკატორი 2.3.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საგნობრივი კურიკულუმები;*
2. *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026*
3. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 -სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 3 საჯარო სკოლა*
4. *შეფასების რუბრიკები;*
5. *კითხვარები;*
6. *მოსწავლეთა ნაშრომები;*
7. *კათედრის ოქმები.*
8. *ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლებს ურთიერდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავებული აქვთ სარეკომენდაციო პაკეტი თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, განახორციელონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძალისხმევა მიმართონ დასახული მიზნების მიღწევისა და გაუმჯობესებისაკენ. კერძოდ, ისინი იცნობენ კონკრეტულ საკვანძო საკითხებს, რაც განაპირობებს ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებას. ესენია, მაგალითად, წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილება, ამ გამოცდილების გათვალისწინებით გასაზიარებელი გამოცდილება სასკოლო საზოგადოებაში, ახალი წლის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ასპექტები ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე.

ინდიკატორი 2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი რევიზიის პროცედურები იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლამ ყოველწლიურად უზრუნველყოს სასწავლო წლის შეჯამებისას შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით კურიკულუმის გაუმჯობესება. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები განიხილავენ მიმდინარე პროცესს და გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზებზე დაყრდნობით ცვლიან თავიანთ პრაქტიკას. ცვლილებების ასახვა რევიზირებულ კურიკულუმში ვლინდება სასწავლო რესურსებისა თუ მიდგომების შეცვლით/დამატებით.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

ინდიკატორი 2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
2. *გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;*
3. *ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;*
4. *კურიკულუმის ანალიზი;*
5. *კათედრის ოქმები;*
6. *შეფასების რუბრიკები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. *საგნობრივი კურიკულუმები-სამივე საფეხური*
2. *დიფერენცირებული დავალებები*
3. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*
4. *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემები*
5. *შემაჯამებელი დავალებების ანალიზი*
6. *თემატური მატრიცები- სამივე საფეხური;*
7. *კომპლექსური დავალებების რეფლექსიები*
8. *კლუბის წესდება, სამოქმედო გეგმა და განხორციელებული აქტივობები;*
9. *მასწავლებელთა სემესტრული ანგარიში;*
10. *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები;*
11. *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თარიღი 12.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.